საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტაის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

შაბათი, 7 ოქტომბერი. 2017 წ. №206-207 (8343-8344), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ვენეციის კომისიამ უაღრესად დადებითად შეაფასა საკონსტიტუციო ცვლილებები

ვენეციის კომისიამ უაღრესად დადებითად შეაფასა საკონსტიტუციო ცვლილებები, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

– ვენეციის კომისიამ საბოლოოდ დაამტკიცა თავისი დასკვნა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. დასკვნა არის პოზიტიური. ჩვენ წინასწარ გვქონდა საუბარი იმ დოკუმენტთან დაკავშირებით, რომელიც გამოიგზავნა ვენეციის კომისიის მხრიდან ერთი კვირით ადრე და დაახლოებით, შეესაბამება ეს დასკვნა იმ წინასწარ დოკუმენტს, რომელიც გამოგვიგზავნეს. დოკუმენტი არის აბსოლუტურად პოზიტიური და აღიარებულია ის ძალიან დიდი პროგრესი, რომელსაც მიაღწია საქართველოს პარლამენტმა საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელების მხრივ. გარდა ამისა, დღეს არაერთი განცხადება გაკეთდა ვენეციის კომისიის პრეზიდენტის მხრიდან, ასევე, იმ ექსპერტების მხრიდანაც, რომლებიც წერდნენ დასკვნას საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით და მათ უაღრესად დადებითად შეაფასეს საკონსტიტუციო ცვლილებები, მათ აღნიშნეს, რომ ეს ცვლილებები უზრუნველყოფს საქართველოში დემოკრატიული განვითარების პროცესის შეუქცევად გაგრძელებას...

რეჟიმის კვალი დიდხანს გაჰყვება ჩვენს ცხოვრებას

3

„საქართველო ყოველთვის იყო მასპინძლობისა და თბილი მიღების სინონიმი“

11

ROGORI DAIWERA BIZINA KVERNAZIS „ODA SAQARTVELOS“



6

ერთხელ მისმა უწმინდესობამ დაიბარა ბიძინა კვერნაძე, რომ ეჩვენებინა სამთავროს იღუმენიის დედა ქეთევანის ლექსები. უთხრა, აირჩიე, რომელი ლექსიც გინდა და მუსიკა დაწერეო დედა ქეთევანის ტექსტზე...

რეზო ამაშუკელი:

ექმენ უფალო მწედ და მფარველად

7



პეტრე დიდი – ბაგრატიონთა შთამომავალი?

ვინ იყვნენ პირველი ქართველი დასავლეთ-ევროპელები?

10-11

ნუგზარ ფოფხაძე

5

აი, კაცი!

მთელი შეგნებული ცხოვრება ტაძრისკენ მიმავალ გზაზე

კახი კალაძე დებატებისთვის მზადაა!

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ყველა ძირითად მედიასაშუალებას სთავაზობს, თბილისის მერობის კანდიდატების ტელედებატებთან დაკავშირებით ერთობლივ ფორმატზე შეთანხმდნენ, სადაც ყველა ტელევიზიის წარმომადგენელს და ყველა კანდიდატს ექნება მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. ამის შესახებ კახა კალაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა არჩილ თალაკვაძემ პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისივე თქმით, „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი კახა კალაძე მზად არის მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ საერთო დებატში.

„არის იდეა, რომ თბილისში მოეწყოს 5 ძალიან დიდი სასწავლებელი – ე.წ. ედუპარკი“

„რამდენიმე დღეში ვგეგმავთ განათლების პოლიტიკის პრეზენტაციას, თუ რა პროექტების განხორციელებას ვაპირებთ განათლების მიმართულებით, როგორი იქნება მერიის მხრიდან პედაგოგების ხელშეწყობა. გარდა ამისა, არის იდეა, რომ თბილისში მოწყოს 5 ძალიან დიდი სასწავლებელი – ე.წ. ედუპარკი და ჩვენ ამ პროექტსაც წარვადგენთ“, – ეს განცხადება კახა კალაძემ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მიერ ორგანიზებულ მასწავლებლის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გააკეთა.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თბილისის მერობის კანდიდატმა მასწავლებლებს პროფესიული დღე მიულოცა.

„პედაგოგის პროფესია განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. რა თქმა უნდა, პატივს ვცემ ყველა პროფესიას, მაგრამ თქვენ ბრძანდებით ადამიანები, რომლებსაც ყოველდღიური შეხება აქვთ ჩვენს მომავალ თაობებთან, ჩვენს შვილებთან, სწორედ ამიტომ, თქვენი როლი განსაკუთრებულია მათ აღზრდაში. ამისათვის დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს“ – განუცხადა პედაგოგებს კახა კალაძემ.

„ალბათ რაღაც გათვლილი აქვს“!

უმრავლესობის წევრი ნუკრი ქანთარია „პირველ რადიოსთან“ საუბარში ამბობს, რომ პრეზიდენტი სახელმწიფოებრივად არ იქცევა:

„გუშინდელი შეხვედრა, რომელიც კარგია კარგიო, ასე იყო შეფასებული, მაგრამ კონკრეტულ შედეგს ვერავინ ვერ ამბობდა, დღეს აღმოჩნდა რა შედეგის მატარებელიც არის. მე ეს თავიდანვე ვთქვი, რომ პრეზიდენტს შეუძლია კონსტრუქციული როლის შეტანა, მაგრამ ამავე დროს, ის ალბათ დაიწყებს გარკვეულ ჩამატებებს-მეთქი, რაც არ მგონია, რომ სწორი იყოს. ყველაფერი, ან არაფერი, არ არის პოლიტიკურად სწორი. მას შეეძლო, რომ ორი საკითხი, რომელსაც ალბათ თვითონაც ეთანხმება, მართლაც რეალობაში ყოფილიყო მოყვანილი და ამ შემთხვევაში ჩვენ იგივე ნიშნულს ვუბრუნდებით, რაც ვფიქრობ, რომ შედეგის მომტანი არ იქნება. როგორც ჩანს, ის წავიდა მაქსიმუმზე, ანდა შეეცადა, რომ მეორე დღეს დაპატიჟთ ოპოზიცია და გარკვეულწილად ალბათ მათთანაც ვალდებულია და შემდგომში უნდა, რომ მათი იმედი ჰქონდეს.ალბათ ასეთ ნიუანსებს უფრო აქვს აქ ადგილი, ვიდრე მასშტაბურ აზროვნებას. ალბათ რაღაც გათვლები აქვს ამასთან დაკავშირებით და უფრო ეს არი“ – განუცხადა „პირველ რადიოს“ ნუკრი ქანთარიამ.

ყველა ჟურნალისტი ამ ქვეყანაში ყოველდღე ვაშლებზე ლაპარაკობს!

„სკოლებში, სადაც ვაშლები ჩვენ არ მიგვიტანია ბავშვებმა მოიტანეს და მიირთმევენ“, – ამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ განაცხადა. მისივე განცხადებით, ვაშლების დარიგების პროგრამა 10 სკოლაში დეკემბრამდე გაგრძელდება.

„ვაშლების პროგრამას პირველი და მთავარი ეფექტი მოჰყვა, რომ ყველა ჟურნალისტი ამ ქვეყანაში ყოველდღე ვაშლებზე ლაპარაკობს. სკოლებში, სადაც ვაშლები ჩვენ არ მიგვიტანია, ბავშვებმა მოიტანეს და მიირთმევენ. ოჯახებმა შვილების ჯანსაღი კვების საკითხს ყურადღება მიაქციეს.

ჩვენი ამოცანა სწორედ ეს იყო, რომ მთელი ქვეყნის ყურადღება ჟურნალისტების დახმარებით მიგვექცია იმისთვის, რომ ბავშვი სკოლაში რას ჭამს, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც, რას სწავლობს და რა სახელმძღვანელოთი ხელმძღვანელობს.

დეკემბრამდე ეს კამპანია 10 სკოლაში გაგრძელდება. ძალიან კარგად და ხალისიანად დაიწყო და დარწმუნებული ვარ, რომ ასე ხალისიანად გაგრძელდება. მომავალში ჯანსაღი ცხოვრების წესის პროგრამაში ბევრი კამპანია გვექნება და ამას გზადაგზა ნახავთ“ – განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ. ტუსის მინიჭების შესახებ, ასევე მშვიდობისმყოფელებთან დაკავშირებით შეთანხმებებს მოაწერა ხელი. 2008 წელს კი, ჩვენ სწორედ ამ შეთანხმებების წინაშე ავღმოვაჩენდით. ეს იყო შენელებული მოქმედების ბომბი, რომელიც რუსეთმა საქართველოს წლების წინ ჩაუდო“.

ნებისმიერი სახის ძალადობა მიუღებელია და პროვოკაცია – დაუშვებელი

საპატრიარქო სოფელ კუმურდოში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

„ახალქალაქის რაიონის სოფელ კუმურდოში, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების X ს-ის ტაძრის ეზოში, ა.წ. 30 სექტემბერს მოხდა ინციდენტი ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფსა და სამართალდამცავებს შორის.

პრობლემა გამოიწვია ამ ჯგუფის მცდელობამ, წინასწარი შეთანხმების გარეშე, ტაძრის ეზოში აღემართათ სომხური ტრადიციული ქვის ჯვარი – ხაჩკარი.

აქ 2015 წლიდან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აწარმოებს სარესტავრაციო სამუშაოებს. არქეოლოგიური გათხრების დროს სხვა არტეფაქტებთან ერთად ტაძრის ეზოში აღმოჩნდა საფლავები და მიცვალებულთა ნეშტი, რომლებიც დროებით იქნა გადატანილი შერჩეულ ადგილას, სადაც მოსახლეობას გაუჩნდა ჯვრის აღმართვის სურვილი.



გაუგებრობა გამოიწვია გავრცელებულმა დეზინფორმაციამაც ტაძრის წარმომავლობის შესახებ. სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია ადასტურებს, რომ ტაძარზე პრეტენზია არა აქვს და მას ქართულად მიიჩნევს.

წინაპრების საფლავისათვის პატივის მიგება სადავო არაა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ასწლეულების მანძილზე ტაძრის ეზოში ქართველებიც, სომხებიც და სხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ადამიანებიც დაიმარხნენ და მათი პატივისცემა ყველა ჩვენგანის ვალია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ა.წ. 5 ოქტომბერს საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა შეხვედრა საქართველოს სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისა და სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წარმომადგენელთა შორის.

შეხვედრის მონაწილეებმა დაადასტურეს მზადყოფნა, შემდგომი სხდომების დროს განიხილონ და ურთიერთშეთანხმებით მიიღონ გადაწყვეტილება წამოჭრილ თემებთან დაკავშირებით, რომელსაც სამართლებრივი და რელიგიური დატვირთვის გარდა მორალური მნიშვნელობაც ექნება და ვითარების მშვიდობიანი დარეგულირების მაგალითი გახდება.

ყველას მოვუწოდებთ:

ნებისმიერი სახის ძალადობა მიუღებელია და პროვოკაცია – დაუშვებელი. დავიცვათ ათასწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქართულ-სომხური მეგობრობა, გამოვიჩინოთ წინდახედულება და წამოჭრილი საკითხები კანონიერების და ქრისტიანული სიყვარულის გზით გადავწყვიტოთ“.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო; საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია; სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო აპარატი.

საპატრიარქოს ქონებრივ დოკუმენტაციაზე ხელს სამი ოფიციალური პირი აწერს!

საპატრიარქოს ქონებრივ დოკუმენტაციაზე ხელს სამი ოფიციალური პირი აწერს, – ამის შესახებ პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა ჟურნალისტებს განუცხადა. მისივე თქმით, აბსოლუტურად არასწორად იყო განცხადება გაკეთებული, თითქოს დეკანოზ გიორგი მამალაძის დაკავების შემდეგ, დოკუმენტაციაზე ხელის მოწერა ისევ მეუფე იაკობს დაევალა. **„როგორც კი გაჩნდა საკითხი, რომ მამალაძე დაინიშნა ქონების მართვის სამსახურის უფროსად და მათ გააგზავნეს სტრუქტურებში წერილები, რომ მხოლოდ მამა გიორგი მამალაძის წერილები უნდა განეხილათ, ეს იყო კონსტიტუციური შეუსაბამობა, რადგანაც მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ხელმოწერის მხოლოდ სამ პირზე გადაცემას. ეს არის კათოლიკოს-პატრიარქი, კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი და კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი. სამი ოფიციალური პირი არსებობს ეკლესიის მხრიდან, რომლებიც აწერენ ასეთ დოკუმენტაციას ხელს. ეს იყო ერთკვირიანი ვაკუუმი. როდსაც მისი უწმინდესობა დარწმუნდა, რომ წერილები სტრუქტურებში იყო არასწორად დაგზავნილი, ამის შემდეგ ეს უფლებები ისევ გადმოგვეცა ჩვენ, მე, ქორეპისკოპოსებს: მეუფე იაკობს და მეუფე თეოდორეს. ეკლესიის ინტერესებიდან გამომდინარე, დღეს ასეთ დოკუმენტებს ჩვენ ვაწერთ ხელს“,** – განაცხადა პატრიარქის მდივანმა.

გიორგი გახარია: ქუთაისის აეროპორტში წელს და მომავალ წელსაც ბევრი სიახლე გველოდება

– ქუთაისის აეროპორტი, როგორც პროექტი და ასევე კომპანია Wizz Air-თან გაფორმებული კონტრაქტი არის წარმატებული, რადგან ამას მოყავს კიდევ უფრო მეტი ტურისტი საქართველოში – ეს განცხადება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა მთავრობის ადმინისტრაციაში გააკეთა, სადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და და Wizz Air-ის კომერციული დირექტორის, ჯორჯ მიხალოპულოსის შეხვედრაზე Wizz Air-ის ახალი რეისების, ქუთაისის აეროპორტში კომპანიის მეორე ბაზის დამატებისა და ტერმინალის გაფართოების საკითხები განიხილეს. შეხვედრას ეკონომიკის სამინისტროს აეროპორტების გაერთიანების ხელმძღვანელი ქეთი ალექსიძეც ესწრებოდა.

გიორგი გახარიას განცხადებით, ქუთაისის აეროპორტში წელს და მომავალ წელსაც ბევრი სიახლე გველოდება. პირველი - ეს არის ახალი ტერმინალი, რომლის მშენებლობა უკვე იწყება. გარდა ამისა, ქუთაისის აეროპორტს დაუკავშირდება რკინიგზა, რაც გიორგი გახარიას შეფასებით, ძალიან კომფორტულს გახდის მგზავრობას აეროპორტიდან.

„მესამე სიახლე გახლავთ ის, რომ ქუთაისის აეროპორტიდან კომპანია Wizzair გახსნის ახალ მიმართულებებს, როგორიცაა რომი, პრაღა, ბარსელონა, პარიზი, ხოლო იმ მიმართულებების სიხშირე, რომელიც ყველაზე მოთხოვნადი იყო, გაიზრდება, – განაცხადა ეკონომიკის მინისტრმა.

გიორგი გახარიას შეფასებით, **ქუთაისის აეროპორტში ბაზირებული Wizz Air-ის კიდევ ერთი თვითმფრინავი მომავალ ტურისტულ სეზონს შეუწყობს ხელს, „ტურისტებისთვის საქართველოში ჩამოსვლა უფრო კომფორტული უნდა იყოს და ჩვენს მოქალაქეებსაც ხელი უნდა შევუწყოთ, რაც შეიძლება ხშირად იმოგზაურონ“,** – განაცხადა გიორგი გახარიამ.

ქუთაისი აეროპორტის გაქტიურებაზე და 82%-იან ზრდაზე გააკეთა აქცენტი საქართველოს აეროპორტების გაერთიანების ხელმძღვანელმაც. ქეთი ალექსიძის განცხადებით, ბოლო პერიოდის განსაკუთრებული ზრდა სხვადასხვა პოზიტიურმა ფაქტორებმა განაპირობა.

რეჟიმის კვალი დიდხანს გაჰყვება ჩვენს ცხოვრებას

მიხეილ სააკაშვილი სულ მტრის ხატად ვერ გამოდგება, მაგრამ ჭკუის სასწავლად დიდხანს გვეყოფა მისი რეჟიმის გაკვეთილები. როგორ მოვითმინეთ 10 წელი ქვეყნის გამანადგურებელი კაცი ყველა პარამეტრით — პოლიტიკურ-ეკონომიკური, ზნეობრივი თვალსაზრისით და მის ჭკუაზე უკულმა ვიარეთ. ხალხის ძალა და უფლება ისევ ხალხის გასაუბედურებლად და ძალაუფლების შესანარჩუნებლად გამოიყენა, ყველაფერს დაეპატრონა, ლამის ნახევარი საქართველო დაიჭირა და მილიარდები ამოიღო. უცხოელთა დავალების შესრულებისას უფრო იხეირა, ხან რუსეთს მიჰყიდა ქვეყანა, ხან კიდევ — ამერიკას. ამ რეჟიმის კვალი დიდხანს გაჰყვება ჩვენს ცხოვრებას და ასეთ კაცს დაჭერის მაგივრად ისევ აღაზევებენ პოლიტიკურ არენაზე, ისევ იყენებენ და ვინ იცის კიდევ რა გათვლები აქვთ სუპერ სახელმწოფოებს.

დამოუკიდებლობა, მხოლოდ დამოუკიდებელი და ეროვნული მთავრობით თუ მიიღწევა, მწარე წარსული იმიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ სულ შეცდომებით არ ვიაროთ, როგორც დამოუკიდებლობის ლამის 30 წლის განმავლობაში. მაგრამ წარსულში მავანთა ნაავკაცარით თავის მართლება საქმეს არ შველის. წინ უნდა ვიაროთ, თუმცა ბევრმა იმედიც დაჰკარგა და მოლოდინიც. ამ ფონზე სააკაშვილის პოლიტიკურ თამაშებში ჩართვა ამძიმებს ვითარებას, ადამიანები ტოვებენ ქვეყანას. ამ დროს დაშლილ თუ გაშლილ ნაცმოძრაობას ლამის დამნაშავედ გამოჰყავს მმართველი პარტია და იქით უპირებს გასამართლებას. ესაა კოჰაბიტაციის შედეგი, როგორ შეიძლებოდა ამათი დანდობა.

მოდით, ისევ გადავავლოთ თვალი, რა ჭირდა ქვეყანას, რა გადაიტანა ხალხმა თავისუფლების და დემოკრატიის შუქურების ხელში, რომლის გასაკრიტიკებლად სიტყვა არ დასცდენია „რუსთავი-2“-ს, დღედაღამ რომ არის ჩასაფრებული „ოცნების“ ნაკლოვანებებზე და ასე „აპრავებს“ ქვეყნის დამაქცევრებს, რომელთა ნაავკაცარს დღესაც ვიმკით.

„ნაცმოძრაობამ“, ანუ სააკაშვილის ბანდის მოძრაობამ (რა შუაშია ნაცია, ხალხი აქ? შირმა და ნიღაბია მხოლოდ!) ქვეყანა გააუბედურა, დააქცია და ეს ნგრევა დღესაც გრძელდება. ღია თუ ფარული მხარდამჭერები შინ და გარეთ საკმაოდ ჰყავს, ეს ვერ გაითვალისწინა ივანიშვილმა, ვერც ის გათვალა, რომ ბევრი „ნაცებს“ არ ჩამორჩება ნგრევაში, ასე რომ, ამათ ხელში კიდევ კარგად ვართ გადარჩენილი, თუ კიდევ რამე უბედურება არ დაგვატეხეს თავს, რამდენადაც ხალხი ამათი ამრჩევი არაა!

ახლა მოვუხმოთ პოლიტიკურ მეხსიერებას, რა უბედურება დაატეხა თავს ქვეყანას სააკაშვილის რეჟიმმა. სახელმწიფო, იგივე ხალხის ქონება გადაინაწილეს, ქვეყნის ეკონომიკა მათზე მუშაობდა, იგი ვერ განვითარდებოდა, რამეთუ იყო ბიზნესის რეკეტი, დაჭერები, ლამის ნახევარი საქართველო ციხეში ჩასვეს, კაცები გააუპატიურეს, მთელ ქვეყანას ღირსება აჰყარეს, ათასობით ადამიანი, განსაკუთრებით ქალები, დედები საზღვარგარეთ გადაიხვეწა, დაინგრა ოჯახები, ისედაც გადაშენების გზაზე მყოფ ერს ნულოვანი ტოლერანტობით ასობით ახალგაზრდა ჩაუხოცა, შემდეგ ათასობით ნაწამები ადამიანი და ამაზე გადაღებული ფირები, ფარული ჩანაწერები, შეტევა მართლმადიდებლობაზე, ეკლესიაზე, რწმენაზე, ზნეობაზე, გარყვნილების პროპაგანდა, რუსეთთან ვითომ პატრიოტიზმის ეგიდით წამოწყებული ომი და დაკარგული ტერიტორიები... გაიყიდა ქვეყანა, სამაგიეროდ, მილიონები მიიღეს რუსეთის გამოაშკარავებისთვის, არადა, რუსეთს მიჰყიდეს სტრატეგიული ობიექტები.

რუსეთის ამბიციები ისედაც იცის მსოფლიომ, რაღა ომი უნდოდა. სომხები, აზერბაიჯანელები, ყაზახები, უზბეკები, და ა.შ. თავს უფრთხილდებიან, პატრიოტიზმით არ ვაჭრობენ, არ თამაშობენ, ქვეყანას არ ანგრევენ, არადა, რაც „ნაცებმა“ 9 წელიწადში ქვეყანას უყვეს, როგორ გინდა, დაიჯერო, რომ ამათ NATO-თი ქვეყნის გადარჩენა უნდოდათ. იყო სისტემური დანაშაულის კასკადი და უზნეოთა ზეიმი, დაშინებული, ღირსებააყრილი ხალხი, გირგვლიანები (დედაც გადაჰყვა), ვაზაგაშვილები, (მამაც მოკლეს), ციხეში ახალგაზრდების ჩახოცვა, ნაწამები, პატრიოტი კაცი სულხან მოლაშვილი, პოლკოვნიკი თეთრაძე და 2007 წლის 7 ნოემბერს ნაცემი ხალხი, 2011 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულზე ჩახოცილები, კიდევ რამდენი რამ ჩამოვთვალოთ ამ ტირან-მანიაკთა, სადისტთა და შიზოფრენიკთა „მოღვაწეობიდან“... ყოველივე ამას დიდად არ შეუწუხებია დემოკრატიული ევროპა და ამერიკა, ადამიანის უფლებათა დამცველები. არადა, სამმილიონიან საქართველოში 300 ათასი კაცი გაასამართლეს, ნუთუ, ყველა ქვეყნის მტერი და დამნაშავე იყო?

ნუთუ, საბოლოოდ ქართველმა ხალხმა არ უნდა გამოუტანოს განაჩენი და დიდი სასამართლო არ უნდა მოუწყოს ამ კაციჭამიებს, სადისტებს, მკვლელებს?

თვითმმართველობის არჩევნები პოლიტიკური განაჩენი უნდა იყოს, რადგან ხელისუფლებამ ვერ მოახერხა სამართლიანობის აღდგენა და არც მისცემენ ამის საშუალებას, არადა, „მოძმეთ სისხლი ცაში ღმერთს შეჰღაღადებს და სამართალს ითხოვს“ — ვინც ისევ ნეოფაშისტებს აძლევს ხმას. ხმას აძლევს ერის განადგურებას, ტირანიის გაგრძელებას, ამას ქართველი ხალხი არ დაუშვებს და თუ დაუშვა, ის ფიზიკურად, სულიერად, ზნეობრივად განადგურდება.

გაიხსენეთ სისხლიანი წლები და თუ ამის შემდეგ ნაციონალებს, ახალ პარტიებად რომ დაიშალნენ, აირჩევთ, მხარს უჭერთ საქართველოს მტრებს, მკვლელებს და არც კაცი და არც ღმერთი ამ ცოდვას არ გაპატიებთ.

აი, რისთვის უნდა გასამართლდეს სააკაშვილი და არა რაღაც კოსტიუმებისსა და თანხების გაფლანგვისთვის. ის, რომ სააკაშვილის ნეოფაშისტური რეჟიმი არ გასამართლდა, ცუდად დაუბრუნდა ქვეყანას და არავინ იცის, წინ რა პრობლემები გველის. პარტია, რომელმაც ნეოფაშისტები ჩამოაგდო, უნდა გაძლიერდეს და უნდა გაემიჯნოს ყოველგვარ კოჰაბიტაციას. არ უნდა მოდუნდეს, თორემ ლამისაა უარესი გინება დაიმსახუროს ამ ვითომ ოპოზიციისაგან, რომელიც ყველა ხერხით თავის გადარჩენაზე ფიქრობს და პრეზიდენტიც მათ მხარესაა, რომელიც პირველი არღვევს კონსტიტუციას და პარლამენტს ეწინააღმდეგება მისი ახალი ვარიანტის მიღებაში. რა, ნუცას სკოლაა, რომ პარლამენტმა მარგველაშვილის ბრძანებით უკან დაიხიოს და თავის გადაწყვეტილება შეცვალოს? თავზე წინა კონსტიტუციაც არ გადაგვახიეს, უბის წიგნაკად რომ აქცია სააკაშვილმა? ზოგიერთ ქვეყანას საერთოდ არა აქვს იგი, მაგრამ არის ნამდვილი კანონის, ქვეყნის პატივისცემა და არა ძარცვა და ხალხის აბუჩად აგდება.

„ოცნებამ“ მეტი ფხა უნდა გამოიჩინოს, თვითკმაყოფილებას არ უნდა მიეცეს და იმოქმედოს ამ ვითომ ოპოზიციის წინააღმდეგ, თორემ 30 წელია, თავზე დაგვექცა ქვეყანა. სულ შეცდომებით ვიარეთ, დემოკრატია ბიზნესად არ უნდა ვაქციოთ, ხალხი ერთ დღეს გამოფხიზლდება და დაიქუხებს. მხოლოდ ის, რომ მშვიდობაა და ადამინებს ძველებურად ნაციონალებივით არ ექცევიან, ეს არ კმარა; სოციალურად მძიმე ვითარებაა, რა დროს პრემიებია, რა დროს სოციალური დანამატების მოხსნაა, ღატაკებისთვის უსუსური საბაბით — მაცივარი გქონიაო. თუ ქვეყანას ეშველება, მტერიც უნდა გამოიყენო, დრო უნდა შეარჩიო.

ფრთხილად, ქართველებო! მიხედეთ ქვეყანას. ერთი აზრით, ერთი მიზნით მივაღწიოთ და აღვასრულოთ საქართველოს სულიერი მისია.

ვიდრე ქვეყანა არ შეაფასებს 1990-1991 და 2008 წლების ტრაგიკულ მოვლენებს, სანამ სააკაშვილის რეჟიმს არ გავასამართლებთ, არაფერი გვეშველება.

ღმერთო, ქართველებს შეაყვარე საქართველო.

ზურაბ აბრალავა,
„სრ“ საკ. კორ.
ფოთი

სტრასბურგის მოსამართლეობის კანდიდატებს 10 ოქტომბერს უყრიან კენჭს

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველოდან წარდგენილ სტრასბურგის მოსამართლეობის სამ კანდიდატს 10 ოქტომბერს უყრიან კენჭს.

ორი დღის წინათ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე წარდგენილი კანდიდატებიდან კომიტეტმა ლადო ჭანტურიას გაუწია რეკომენდაცია.

ლადო ჭანტურიასთან ერთად, საქართველოდან წარდგენილი არიან ლალი ფაფიაშვილი და ოთარ სიჭინავა. იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი დადებითი შედეგების მოლოდინშია.

ყაზახი ინვესტორები და აჭარის ინფრასტრუქტურა

თბილისში ოფიციალური ვიზიტით ყაზახეთის დელეგაცია იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავებისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ორმხრივი შეხვედრა გაიმართა სასტუმრო ბილტმორში. შეხვედრას ქართული მხრიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი რამაზ ბოლქვაძე და საქართველოს ელჩი ყაზახეთში ზურაბ აბაშიძე, ხოლო ყაზახეთის მხრიდან, ყაზახეთის რესპუბლიკის ინვესტიციებისა და განვითარების მინისტრი ჟენის კასიმბეკი, ვიცემინისტრი იერლან კაიროვი, ყაზახეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ერმუხამეტ ერტისბაევი და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე მხარეებმა თანამშრომლობის შესაძლებლობები განიხილეს. ყურადღება გამახვილდა რეგიონულ ჭრილში ყაზახურ მხარესთან თანამშრომლობაზე. აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ყაზახეთის რესპუბლიკის ინვესტიციებისა და განვითარების მინისტრს რეგიონში არსებული ეკონომიკური ვითარება და საინვესტიციო პოტენციალი გააცნო, საუბარი შეეხო სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომელთა განხორციელებაში ინვესტორთა ჩართულობაა შესაძლებელი. ყაზახურმა მხარემ არსებული კავშირების კიდევ უფრო გაღრმავების მზადყოფნა და რეგიონში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში ყაზახური კომპანიების ჩართვის დაინტერესება გამოთქვა. გუშინვე, ყაზახეთის რესპუბლიკის ინვესტიციებისა და განვითარების მინისტრის ჟენის კასიმბეკისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის შეხვედრა გაიმართა.

◎ ინფლაცია

„ჩინოსნური ხარჯის“ ჭაობში

რეალური ინფლაციის დონეს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური (საქსტატი), როგორც წესი, თვეში ერთხელ გვამცნობს. ის, ჩვეულებრივ, რაიმე ფორს-მაჟორი თუ არ შეიქმნა, ოფიციალური ინდიკატორული მაჩვენებლის „ახლომახლოშია“ ხოლმე, რომელიც ჯერ კიდევ წინა საბუღალტრო წლის შუაში დგინდება.

ყველაფერი საუცხოოდ იქნებოდა, რომ არა ერთი „მაგრამ“, რომელიც, როგორც ვიცით, ყოველთვის ყველაფერს აფუჭებს. ასეა ამ შემთხვევაშიც: ინფლაციის ოფიციალური მაჩვენებლები მის რეალურ სიდიდეზე ყოველთვის საშუალოდ ორ-სამჯერ ნაკლებია.

ამის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ახსნა ისაა, რომ არც ერთი „ჩამოსხმის“ ხელისუფლებას — არც საკანონმდებლოს და არც აღმასრულებელს, არაერთგზის უდიდესი ტაშ-ფანდურით დაანონსებული „ქამრების შემოჭერა“, რეალურად არ უცდია. ბევრი-ბევრი, წელიწადში ერთხელ გვახარონ — აი, ბატონო, საანგარიშო პერიოდში საკუთარ პრემია-დანამატებზე გარკვეული თანხით ნაკლები დავხარჯეთ, პრემია-დანამატებიც ცოტა ავიღეთო, ძალიან ძვირიანი მანქანების მაგივრად კი, „ისე რა“ ძვირიანები ვიყიდოთო, ესაა და ეს.

მაგრამ ხალხს მაინც აინტერესებს — ეგ კი ეგრეა და არც ჩინოსნები, არც პარლამენტარები ბიუჯეტის ხრას ნებით არ მოეშვებიან, მაგრამ ეკონომიკაში გარკვეული კონკრეტული პროცესებიც ხომ მიმდინარეობს, რომლებიც ინფლაციაზე, ფასების ზრდასა და ფულის გაუფასურებაზე მოქმედებენ? ხომ არ შეიძლება ყველაფერი ერთიანად ღორმუცელა სახელმწიფო მოხელეებსა და მხოლოდ საკუთარი ქისის გასქელების ჟინით შეპყრობილი ბანკირების სულმოკლეობის გამო ხდებოდეს?



ზოგადად თუ ვიტყვით, ინფლაციის მაჩვენებელი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება: **ფულის გაუფასურების ტემპი** (ანუ მონეტარული ინფლაცია) და **ფასების მატების ტემპი** (ხარჯის ინფლაცია).

ფაქტია, რომ **ფასების ზრდის დროს ყველაფერი ერთიანად უფასურდება და არა მხოლოდ ფული.** სწორედ ამიტომაცაა, რომ ცენტრალური ბანკიც და მისი არაოფიციალური მითითებით საქსტატიც, ეშმაკურად მხოლოდ **მონეტარულ ინფლაციას** ითვალისწინებენ.

არადა, განა იმას რაიმე განსაკუთრებული მტკიცება სჭირდება, რომ მოსახლეობას ეს „სტატისტიკური ხრიკები“ არაფერში აინტერესებს — ნებისმიერ მოქალაქისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, თუ რამდენი და როგორი სურსათის მიტანას შეძლებს ოჯახში თავისი ხელფასით (სტიპენდიებს, შემწეობებსა და პენსიებზე ხომ ლაპარაკი საერთოდაც არასდროს ყოფილა!). ამიტომაც, ხალხის უმეტესი ნაწილისთვის ცხოვრების, უფრო სწორად კი, არსებობისთვის ყოველდღიურ ბრძოლაში უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მაღაზიებში ფასების აღმნიშვნელი წარწერებია და არა ოფიციალური თვალთმაქცობა.

ამ ერთგვარი „სტატისტიკური ხაფანგიდან“ თავის დაღწევა, როგორც ჩანს, კიდევ იმიტომაც ჭირს, რომ ბევრ საერთაშორისო ორგანიზაციას (მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდს) და ბირჟებზე მოთამაშე სუბიექტებს, უფრო მეტად ფულის გაუფასურება და არა ფასების ზრდა აინტერესებთ, ვინაიდან ის საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაში მათ დაბანდებებზე უშუალოდ აისახება.

სწორედ ამიტომაცაა, რომ ისინიც დიდად არ წუხდებიან საქსტატის ამგვარი „დაბალნიშნულიანი“ მაჩვენებლებით.

არადა, **ჭარბი ხარჯით** გამოწვეული ინფლაციის დონე, რასაც ფასების ზრდაც მიჰყვება, გამუდმებით მატულობს. ეროვნული ეკონომიკის მთელი დარგების ფაქტობრივი განადგურება-გაცამტვერების პარალელურად, თითქმის ყოველწლიურად შემცირებული ჩინოსნების რიცხოვნობა წლის მანძილზე გაცილებით მეტად იზრდება. ჰოდა, მერე მთელი ამათი „ხელფასიან-წახალისებიან-დანამატიანი“ და კიდევ, ვინ მოთვლის რამდენი ხარჯი აწვება მძიმე ტვირთად ბიუჯეტს, რომლის გასავალი ვეღარც სოციალურ სფეროს ყოფნის, ვეღარც ეროვნული ეკონომიკის საჭიროებებს სწვდება ხეირიანად. მთელი დეფიციტის შევსება კი, დიდწილად, ყველანაირი გადასახადების, საურავების, აქციზების, ჯარიმების და ა.შ. მატებით ივსება. შედეგად კი **ინფლაციის რეალური მაჩვენებელი** კარგა ხანია ორნიშნა მაჩვენებელზეა, რასაც თუნდაც საარსებო მინიმუმის ოფიციალური მონაცემებიც ადასტურებს.

ბევრი ექსპერტის აზრით, დღესდღეობით არსებული სისტემების პირობებში, **უმეტესობა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან და, შესაბამისად, მაღალანაზღაურებად სახელმწიფო თუ საკორპორაციო თანამდებობებზე მხოლოდ „საჭირო“ ან „საყვარელი“ ხალხია, ამდენად მათი რიცხვი არც არასდროს შემცირდება.** „ხარჯის ინფლაციის“ შემცირების ერთადერთი რეალური გზა კი მმართველი რგოლის კვალიფიკაციის ამაღლება და მათ „მაკონტროლებელთა“ რიცხოვნობის კარდინალური შეკვეცაა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, „ინფლაციის ურემი“ კვლავაც იმ „უაზრო ხარჯის ჭაობში“ იქნება ჩაფლული, სადაც წლების მანძილზეა გაჩხერილი.

ოთარ ტურაბელიძე

საყოველთაო ჯანდაცვას სულ უფრო მეტი ფული სჭირდება!

2018 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსება იზრდება. ამ მიმართულებით ცვლილებები ყოველწლიურად შედის. თავიდან ჯანდაცვის პროგრამის მოცულობა 450 მლნ დოლარის ფარგლებში იყო, წლიდან წლამდე 100-100 მილიონი ლარით იზრდებოდა. მას შემდეგ, რაც სახელმწიფო პროგრამამ ცვლილება განიცადა და ზოგიერთი კატეგორია მის მიღმა დარჩა, თითქოს ხარჯების ოპტიმიზაცია მოხერხდა. თუმცა, მომავალი წლის ბიუჯეტმა დაადასტურა, რომ საყოველთაო ჯანდაცვას ფული მაინც არ ჰყოფნის.

2017 წელს ჯანდაცვის პროგრამაზე 660 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი, გაისად სახელმწიფო 704 მილიონის დახარჯვას გეგმავს. 44-მილიონიანი ზრდა რამდენიმე თვის წინანდელი ცვლილების ფონზე საკმაოდ სოლიდურია.

გაზაფხულზე განხორციელებული ცვლილებების მიხედვით გაიმიჯნა სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო პაკეტები, ასევე გარკვეული შემოსავლის მქონე პირებს შეეზღუდათ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობა და ამოქმედდა დიფერენცირებული პაკეტები. ამით სახელმწიფომ რამდენიმე მილიონი ლარი დაზოგა, მაგრამ დადგენილ ხარჯებში მაინც ვერ ეტევა.



როგორც ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი **ზაზა სოფრომაძე** აცხადებს, ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ მიმართვიანობის გაზრდაა.

მინისტრის მოადგილე ამტკიცებს, რომ საბიუჯეტის ხარჯის ზრდის მიზეზი ჯანდაცვის სერვისებზე ფასების მატება არ არის. „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში სამედიცინო მომსახურება არ გაძვირებულა“, — განუცხადა „კომერსანტს“ სოფრომაძემ.

სხვაგვარად ფიქრობენ ადამიანები, რომლებიც თავისი საქმიანობით მჭიდროდ არიან დაკავშირებული სამედიცინო სფეროსთან. საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის ხელმძღვანელ **დევი ხეჩინაშვილის** თქმით, წლის განმავლობაში მომსახურების ფასი სამედიცინო სფეროში იზრდება, რასაც ხელს უწყობს სახელმწიფო პროგრამები. პარალელურად, ფასების ზრდასთან ერთად, სადაზღვევო პრემია ვერ იზრდება, რამდენადაც ერთწლიანი ხელშეკრულებებია დადებული.

„სამედიცინო სფეროში მაღლა მიდის ფასი, რომელსაც ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ. სახელმწიფო პროგრამები არ იძლევა განვითარების საშუალებას, ეს ფაქტია. ბიზნესი არ იზრდება, პრემია არ იზრდება, ზარალიანობა კი მატულობს“, — აცხადებს დევი ხეჩინაშვილი და იქვე დასძენს, რომ დაზღვევის სფეროში ძალიან რთული მდგომარეობაა, რამდენადაც მთელი სექტორის მოგება ძალიან მცირეა.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ჯანდაცვის პოლიტიკისა და მართვის სპეციალისტი **სერგო ჩიხლაძეც** ამბობს, რომ ჯანდაცვის მიმართულებით გაძვირების ტენდენცია შესამჩნევია. ამის უმთავრესი მიზეზი მედიკამენტებზე მზარდი ფასია. შესაბამისად, წამლების გაძვირება მოსახლეობაში მსყიდველუნარიანობას ამცირებს.

ჩიხლაძის აზრით, საფასო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის უზარმაზარი მოგებაა, რაც ფარმაცევტულ კომპანიებს რჩებათ. ამიტომაცაა, რომ ფასნამატის მიხედვით ადგილობრივი ფარმაცევტული კომპანიები მთელ რეგიონში პირველ ადგილზე არიან.

ბექა დანელია

სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტა გაგვიმარტივებს საქმეს და ავცდებით უამრავ ხათაბალას!

ჯემ ფესტის ორგანიზატორი გიორგი სიგუა ეკონომიკის მინისტრის განცხადებას „ფეისბუქში“ გამოეხმაურა. მისი თქმით, სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტა ფესტივალის ორგანიზატორებს საქმეს გაუადვილებს.

— ყველა საინფორმაციო საშუალება მთხოვს, გავაკეთო კომენტარი ეკონომიკის მინისტრის ნათქვამთან დაკავშირებით, რომ ის არ დაუჭერს მხარს GEM FEST-ისთვის სამომავლოდ თანხების გამოყოფას და მენეჯმენტში ყოფილა ხარვეზები.

გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში არის წინასაარჩევნო პერიოდი, არანაირი სურვილი არა მაქვს, საშუალება მივცე სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებს, გამოიყენონ ეს თემა და პირადად მე სკანდალისთვის და ხმაურიანი ისტორიისა და კონფლიქტის მონაწილედ ვიქცე.

შემოვიფარგლები მხოლოდ ამ სტატუსით და არ გავაკეთებ არავითარ დამატებით კომენტარს.

პირველი: ადრეც ვთქვი და ვიმეორებ, სახელმწიფოს გადასაწყვეტია, დაეხმარება თუ არა პროექტს სამომავლოდ, ჯემ ფესტი შეიქმნა კერძო ინვესტიციით 2015 წელს და არავითარი სახელმწიფო თანადაფინანსება არ ყოფილა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაჩნდა checkingeorgia 2016 წელს, ისევე როგორც სხვა პროექტებმა, ჩვენც მივიღეთ სახელმწიფოს დახმარება. შესაბამისად, თუ ეს დახმარება არ იქნება სამომავლოდ, მოგვიწევს მასშტაბების შემცირება, მოძიებული რესურსებით შედარებით მცირე პროექტის დაგეგმვა (მაგალითად 3 ან 4- დღიანი) და ისე ჩატარება. ჩვენ, როგორც ფესტივალის ორგანიზატორებს, სინამდვილეში ეს ბევრად გაგვიმარტივებს საქმეს და ავცდებით იმ უამრავ ხათაბალას, რასაც ანაკლიაში 32-დღიანი ნონ სტოპ ფესტივალის გაკეთება ჰქვია. ასე რომ, GEM FEST ნებისმიერ შემთხვევაში დაიგეგმება და გაკეთდება, ექნება მას საბიუჯეტო თანადაფინანსება თუ არა.

რაც შეეხება ხარვეზებს და შეცდომებს — ვის რა უნდა გაეკეთებინა, ვის რა უნდა უზრუნველეყო და ვის რა უნდა შეესრულებინა. ამის შესახებ ვისაუბროთ არჩევნების შემდეგ (სურვილის შემთხვევაში). ისედაც ყველაფერი მე მბრალდება და ნამდვილად არ მინდა, ამჯერად საარჩევნოდ პოლიტიკურ თამაშებში მონაწილეობა დამწამონ, — წერს სიგუა.

მთელი შეგნებული ცხოვრება ტაძრისკენ მიმავალ გზაზე

აი, კაცი!



ჩვენ ნახევარსაუკუნოვანი მეგობრობა გვაკავშირებს. ცოტა უფრო მეტიც...

და ამ ხნის ურთიერთობაში არ ყოფილა არც ერთი ხინჯი. არცერთი!

იმ ურთულეს დროში, როცა ე.წ. პარტიულ ნომენკლატურაში ადამიანური ურთიერთობების წინა პლანზე წამოწევა ერთგვარ „ნაკლად“ ითვლებოდა და საფრთხილოც კი იყო, ჩვენს მეგობრობას არ „ვმალავდით“. მიუხედავად იმისა, რომ ორივენი, კარგა ხნის მანძილზე, „დაპირისპირებულ“ სტრუქტურებში ვმუშაობდით, ამ ახლობლობას, რომელსაც ერთი ლაქა არ მოსცხებია, „მოხერხება“ უნდოდა... „დაპირისპირებულს“ იმიტომ მივანიშნებ, რომ დემური ძალოვნებში იყო (ახლა რომ პოლიცია ჰქვია), მე კი მუდმივ და მოურიდებელ ოპონენტთა რიგებში — ჟურნალისტიკის სფეროდან ვუტევდი მის სისტემას. თანაც, მოურიდებლად, მწვავედ.

მაგრამ ამის ახსნაც, ჩემი აზრით, ადვილია. ადვილია იმათთვის და იმიტომ, რომ თუ პირადი ურთიერთობა გულწრფელია, უანგარო და ორივე მხარე სულს უბერავს, თუ სახელმწიფო თუ საზოგადო ინტერესები ორივესთვის პრიორიტეტულია და მას შეგნებულად, პასუხისმგებლობით ემსახურები, ამას დიდი „მოხერხება“ არც სჭირდება.

და ამის ჩინებულ მაგალითად გამოდგება დედაქალაქის პოლიციის და ტელერადიოს ხელმძღვანელების არა მარტო პირადი მეგობრობა, არამედ კრიმინალთან ერთობლივი და ეფექტიანი ბრძოლა. ამ მხრივ იმდროინდელ ტელერადიოს „სატრაბახოდ“ მოსაგონარი მართლაც ბევრი რამ აქვს და უნდა მადლიერებით „გამოვტყდე“: პირადად დემურ მიქაძის გვერდში დგომა რომ არა, ამ მხრივ ბევრ სასიკეთო საქმეს ვერც გავწვდებოდით. არადა, ეს თანამშრომლობა არა მარტო პირადი ურთიერთობით იყო განსაზღვრული, არამედ მაღალი თანამდებობრივი რანგის მქონე პოლიციელის — დემურ მიქაძის სიბრძნით, მისი პრინციპული პოზიციით და იმის ღრმა შეგნებით, რომ მედიის, მთელი საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე კრიმინალთან ბრძოლას შედეგი არ მოჰყვებოდა.

არადა, გასული საუკუნის 80-იანი წლები „ქურდებთან“ და „ქურდულ მენტალიტეტთან“ დაპირისპირება, რომელმაც პიკს მიაღწია, ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა: ყველა ე.წ. „კანონიერ ქურდს“ იძულებით დაატოვებინეს საქართველო.

ამას იმათ გასაგონადაც ვამბობ, დღეს რომ წივილ-კივილით იბრალებენ „ქურდულ მენტალიტეტთან“ ბრძოლის ინიციატორობას და წარსულს დაუფიქრებლად, უსაშველოდ ლანძღავენ. ეგებ მათთვის „აღმოჩენად“ ისიც იქცეს, ამ ერთობლივმა ბრძოლამ როგორ დაუსვა წერტილი ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანების გატაცების შემაშფოთებელ „პროცესს“.

1979 წელს, როცა ყაჩაღებმა მეთექვსმეტედ(!) მოიტაცეს მოქალაქე, ტელევიზიამ და პოლიციამ, ხელისუფლების და საზოგადოების მოთხოვნით და მხარდაჭერით, ერთობლივად, ჩვენ-ჩვენი გზით და მეთოდებით, შევქმენით ამ დანაშაულთან დაკავშირებით ისეთი აგრესიული შეურიგებლობის ატმოსფერო, ამ ბოროტებას ისე დავარისხეთ „კაკაბეთის ზარები“, ტელეეკრანიდან კრიმინალს სახეში ისე დაუნდობლად ვხეთქეთ ხალხის „რისხვით შეკრული მუშტი“, რომ... ყაჩაღებმა „კეთილი ინებეს“ და გადაცემის დამთავრებისთანავე ტელევიზიას(!!!) დაუბრუნეს იმ დღეს გატაცებული გოგონა! და, რაც უმთავრესი შედეგია, შემდგომი ათი წლის(!) მანძილზე არ ყოფილა გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცების არც ერთი(!) შემთხვევა.

მხოლოდ ეს ფაქტებია საკმარისი იმისთვის, რომ გულწრფელად ვთქვათ: დემურ მიქაძე და მისი კოლეგები, მართლაც რომ ღირსეული პარტნიორები იყვნენ ამ საქმეშიც და პირად ურთიერთობაშიც.

დემური უბოროტო კაცია. გულიც არაერთგზის ატკინეს, თანაც უსამართლოდ. ისიც კი იკადრეს, მამისთვის ანგარიშის გასასწორებლად შვილი დაეჩაგრათ, მაგრამ... დემურს, მის ოჯახს უკადრებელი არ უკადრია, „მურტალოთათვის“ სამაგიეროს გადახდაზე ფიქრში წამიც კი არ დაუკარგავთ. რაღაც სიტყვამ ეს თემა მოიტანა, ეგებ უპრიანი იყოს იმის გახსენებაც, რომ მაგ თაობის(!!!) პოლიციის გამორჩეული ჩინოსნებისთვის ბოღმა და ანგარიშსწორება, შურისძიება და დაშანტაჟება, მით უმეტეს, „ცოცხების გამოყენების“ და „ნარკოტიკების ჩადების“ სტილი აბსოლუტურად მიუღებელი იყო. ჟურნალისტების კალამს ელის არაერთი ისტორია, დემურთან ერთად დათო სალარიძის, ახლახან აღსრულებული რომან გვენცაძის, ჯემალ გახოკიძის, სანდრო კავსაძის, ომარ ფოფხაძის და სხვათა კაცთმოყვარეობა, გაბედულება, პროფესიული პრინციპებისადმი ერთგულება მაგალითად გამოადგება ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულ ახალგაზრდებს.

აქვს დემურ მიქაძეს ერთი ისეთი თვისება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ამ თვისებას მადლიერებისა და ერთგულების ნაზავი უნდა დავარქვა. „განივთებული“ ეს გრძნობა-თვისება მეტისმეტად ფაქიზია, ამაღლებულია, განსაკუთრებულ ელფერს ატარებს, არ ყვირის, მაგრამ მუდმივად თანმხლებია და დავანებულია მისი „დამბადებლის“ გულში. მშობლიურ-ოჯახური ურთიერთობის შემდეგ მისი სადარი არაფერია. და ვისაც ეს გრძნობა-თვისება გაჩენია, შეგიძლია, საკუთარი სიცოცხლე ანდო მას. აი, ამ რჩეულთა არცთუ დიდი, მრავალრიცხოვანი „საკრებულოს“ მუდმივი წევრი გახლავთ ჩემი მეგობარი დემურ მიქაძე.

ერთი მაგალითი: სიჭაბუკეში მისდამი გამოჩენილი სითბოსა და მზრუნველი დამოკიდებულების გამო დემური უფაქიზესად ეპყრობა უფროსი თაობის რამდენიმე მეგობარს, მათ ოჯახებს.

არ მახსოვს ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე არც ერთი სერიოზული თავყრილობა მიქაძეებში, რომ საპატიო ადგილი არ ეკავოს და უპირველესი(!) განსაკუთრებული მოფერება არ ერგოს 90-ს მიტანებულ რეზო თევზაძეს, გმირს, საქართველოს პირველ მენავთობეს, ქველმოქმედსა და, საერთოდ, ლეგენდა-კაცს.

ასევე, მისთვის (და ჩვენი სამეგობროსთვის) უღალატო და ძვირფასია წასული თუ დღეგრძელი თბილი და მზრუნველი ადამიანები — ჩვენი უფროსი მეგობრები: დურმიშხან მაღალაშვილი, გურამ გვეტაძე, ანზორ ბურჯანაძე, გრიგოლ ონიანი, დავით სალარიძე... ანდა, ორივე ჩვენგანისთვის გამორჩეული პიროვნება — როინ მეტრეველი, ჩვენი სამეგობროს ნახევარსაუკუნოვანი ლიდერი, რომლის სითბომ და მხარდაჭერამ ჩვენი თაობის არაერთ წარმომადგენელს განუსაზღვრა ცხოვრებისა და საქმიანობის გეზი.

ამ ადამიანებს და ამ მაგალითებს იმიტომ ვიხსენებ, რომ სწორედ ასეთ უანგარო, მზრუნველ, თბილ ურთიერთობაში დახვეწილმა დემურ მიქაძემ (და ჩვენმა სამეგობრომ) გაითავისა ეს „სტილი“ და თავადაც არაერთ ახალბედას აუნთო „მწვანე შუქი“. პირადად ვიცნობ საკმაოდ ბევრ ადამიანს, რომლებიც გულწრფელად ემადლიერებიან დემურს იმ მხარდაჭერისა და ხელშეწყობისთვის, რასაც ასე უანგაროდ და უხვად გასცემდა და გასცემს იგი.

აბსოლუტურად უნიკალური, „უმცროსი ძმის“ სიყვარული, მეგობრობა „გვერდში დგომა“ აკავშირებდა დემურს (ჩვენს სამეგობროს) თანამედროვეობის უდიდეს მოქანდაკესთან მერაბ ბერძენიშვილთან, რომლისთვისაც ვიგინდარა-ხელისუფალთაგან უზომოდ გულნატკენი ხელოვანისთვის დემური იქცა „მფარველ ანგელოზად“. ასევე განუმეორებელი სოფიკო ჭიაურელისა და კოტე მახარაძისთვის ჩვენი დემური არა მარტო „საერთო ჯვრისწერის“ და ნარდის ტურნირების პარტნიორი, არამედ უერთგულესი დაძმობის სიმბოლო გახლდათ...

ასეა, როცა საკუთარი ბებიისთვის სითბოსა და სიყვარულში გაზრდილი და ამ გრძნობებით „დაპროგრამებული“ შვილიშვილიც იყავი და შვილიც, როცა საკუთარი სისხლ-ხორცისთვის მამაც ხარ და ძმაკაციც, როცა უერთგულესი მეუღლისთვის მართლა „განუყოფელი ნახევარი“ ხარ, როცა გაქვს იმის ვეებერთელა ნიჭი რომ იყო შეუცვლელი მეგობარი, ქვეყნისთვის თავდადებული მოქალაქე, სამსახურისთვის უმაღლესი პროფესიონალი-გენერალი, ხელქვეითათვის — მზრუნველი ხელმძღვანელი (და ისინიც მონდომებით გიბრუნებენ სითბოს), მაშინ ბუნებრივია, საკუთარი თავი აიძულო „ვალის გასტუმრებისთვის“ იმათთვის, ვინც თავის დროზე ალალად, უანგაროდ შეამჩნია შენი ნიჭი და შრომისმოყვარეობა, ხელი შეგიწყო დამსახურებულ წინსვლაში, დაგეხმარა შეჭირვების დროს.

ამას ჰქვია კეთილშობილება! თანაც, ორმხრივი!

ამას ჰქვია ზნეკეთილობა!

ამას ჰქვია რაინდობა!

ჰოდა, არავის ვალი არა აქვს ამ ჩემს მეგობარს: არც ქვეყნის და არც ადამიანების! რამეთუ ორივე მხარის წინაშე ვალმოხდილია თავისი ერთგულებით და თავდადებული შრომით, უღალატო, გულწრფელი ურთიერთობით, სიკეთის კეთებით და, რაც მთავარია, ვეებერთელა სიყვარულით!

ამ დღეებში დემურ მიქაძე ჩემი ტოლა, 75 წლის გახდება. საინტერესო და ქვეყნისთვის საჭირო ცხოვრებითაა სავსე ეს დრო. ამ გადმოსახედიდან თუ შეფასდება მის მიერ განვლილი გზა, ღრმად ვარ დარწმუნებული: დიდი თუ პატარა, ჩინიანი თუ უჩინო, პირისპირ თუ ზურგს უკან, ალალად და უყოყმანოდ იტყვის: აი, კაცი!

ნუგზარ ფოფხაძე

რედაქციისაგან:

ბატონი დემურ მიქაძე გამორჩეული მეოცესაუკუნელია. სხვა თვალსაჩინო მამულიშვილებთან ერთად მან ღირსეულად ატარა ის ფრიად მძიმე, მაგრამ ფრიად საპატიო უღელი, რომელსაც დრო ადგამს სამშობლოს უანგაროდ ერთგულ შვილთ, რომელთაც არცრა ვითარებაში წამიერადაც არ უნელდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

75 წელიწადი არც ცოტაა და არც ბევრი, მით უმეტეს, თუ ამ სამოცდათხუთმეტიდან თითქმის ნახევარმა საუკუნემ სამშობლოს სამსახურში გაფრენილი ისარივით სწრაფად გაიარა, მთელი ამ ხნის მანძილზე დემურ მიქაძეს არც მტერი აკლდა, არც მოშურნე, თუმცა მოყვარე ყოველთვის ბევრად აჭარბებდა მტერსაც და მოშურნეთაც, რომელთაც, ბუნებრივია, თვალში არ მოსდიოდათ მუდამ ხმალამოწვდილი დემურ მიქაძე.

ის ჭეშმარიტად სახალხო გენერალია, სამართლისთვის და სიმართლისთვის თავგადადებული გენერალი. და დიახაც, ამიტომ იხდის დღეს ასე უხვად მადლიერი ადამიანების ნაღდ სიყვარულს. დემურის გენერლობა სხვათა გენერლობისგან იმითაც განსხვავდება, რომ ის უწინარესად ადამიანობისა და ადამიანურობის გენერალია. ამგვარი გენერლობა კი ნამდვილად უძნელესად მოსაპოვებელია.

დემურ მიქაძე „საქართველოს რესპუბლიკის“ საიმედო ავტორი, მკითხველი და თანამდგომია, რაც ჩვენ სრულ უფლებას გვაძლევს, განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით მივულოცოთ საიუბილეო თარიღი და ვუსურვოთ საუკუნემდე დარჩენილი ერთი მეოთხედის ჩვეული ვაჟკაცობით გავლა.

მრავალჟამიერ ჩვენო ძვირფასო მეგობარო! ყველასთვის მისაბაძი ხარ იმ მხრივაც, რომ, როგორც გუშინ, გუშინწინ, შენ ისევ ტაძრისკენ მიმავალ გზას ადგახარ!..

სპარტაკ ძოგულია, გურამ გოგიაშვილი, ალეკო ასლანიშვილი.

საერთაშორისო საზოგადოება „სტალინი“ გულითადად ულოცავს დაბადების 75 წლისთავს გენერალ დემურ მიქაძეს.

საზოგადოების სახელით
გრიგოლ ონიანი

ზიზი ანთელავა და ვახტანგ ბერულავა ოჯახით დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ულოცავენ 75 წლის იუბილეს უკეთილშობილეს, უერთგულეს და უღალატო პიროვნებას, ქვეყნისთვის თავდადებულ და უანგაროდ მომსახურე მამულიშვილს, გენერალ დემურ მიქაძეს და უსურვებენ ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და ყოველივე საუკეთესოს საყვარელ ოჯახთან და ახლობლებთან ერთად.

„ვინ უნდა ეპატრონოს თბილისს?“

ილია ჭავჭავაძის წინასაარჩევნო სიტყვა

ხვალ განკითხვის დღეა. განკითხვის დღე იმისი, თუ – ვინ უნდა მოუაროს, ვინ უნდა უპატრონოს ტფილისს ამ ოთხს წელიწადს და ვინ უნდა იზრუნოს და ისაქმოს ადამიანურის გულისტკივილითა და გულმოდგინებით ჩვენის კეთილდღეობისათვის, ჩვენის ავკარგიანობისათვის.

კანონმა ნება მოგვცა ჩვენს დედაქალაქს ჩვენვე მოვუაროთ, ჩვენვე ვუპატრონოთ ამ მხრით. ჩვენც საკმაო ხარჯს ვიხდით, რომ ეს პატრონობა, ეს მოვლა ყინულზე დაწერილი თამასუქი არ იყოს, ხარჯიც ტყუილუბრალოდ არ იქსაქსებოდეს, საქმე ჩვენდა საკეთილოდ კეთდებოდეს და კეთილი დღედადღე ემატებოდეს ჩვენს მშობელ ქალაქსა.

ყველამ ერთად, რომ პატრონობა და მოვლა მოვინდომოთ, შეუძლებელია. კანონმა ეს კარგად იცოდა და დაგვიწესა უკეთესნი კაცნი რიცხვით ოთხმოცი ამოირჩიეთ თქვენ შორის და იმათ მიანდეთ ეგ პატრონობა და მოვლაო.

იცოდეთ, დიდი ცოდვა-მადლი თანა სდევს არჩევანსა და ვიდრე ხელი კენჭის ჩასაგდებად დაიძროდეს, თქვენს ნამუსს, თქვენს სინდისს, თქვენს გულს, თქვენს ჭკუას რამდენჯერმე დაეკითხეთ – ვინ არის ღირსეული და ვინ არა, განურჩევლად დიდისა და პატარისა.

იცოდეთ, თქვენ გინდათ კაცი, რომელსაც თქვენი სიკეთე, თქვენი სიყვარული, თქვენთვის გულშემატკივრობა სულელობად არ მიაჩნია, რომელსაც უნდა ებრალებოდეს თქვენი თავი, თქვენი ცოლ-შვილი და თქვენი ოფლით მონაგარს ფულს, ხარჯად თქვენს მიერ გაცემულს, თქვენს კეთილად ცხოვრებას, თქვენს მშვიდობით და უშიშრად ყოფნას ახმარებდეს, რამოდენადაც ყოველივე ეს შესაძლოა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ მდიდარს განგებ არ აკლებდეს ქალაქის ხარჯსა და ხმაამოუღებელს შეუძლებელს განგებვე არ უმატებდეს, და რაც მდიდარს დააკლებს, ღარიბს არ ახდევინოს.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენი მიყრუებული უბნები ტალახისა და ტყლაპოებისაგან არა ჰყარდეს და მარტო მდიდართა ქუჩები არა ჰლაპლაპებდეს სიფაქიზითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ხორაგი, საჭმელ-სასმელი, ქალაქის ბაზარში კარგი და საღი იყოს და თქვენ არ გახდენდნენ, არ გაფუჭებდნენ და ამ მხრით უშიშარ იყვნეთ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ პურს, ღვინოს, საჭმელ-სასმელს ჩარჩები თუ სხვა ვინმე განგებ მამასისხლად არ ჰხდიდნენ და ამით თქვენ და თქვენს ცოლ-შვილს არ უძვირებდნენ საჭირო საზრდოს და საკვებსა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ქალაქის მოხელეებს ხელსა და კალთას არ აფარებდნენ, როცა იგინი არ ვარგანან და ტყუილუბრალოდ სჭამენ თქვენის ოფლით მონაგარს ფულსა ჯამაგირების სახითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ბუნებითად კეთილი ჰაერი თქვენის დედაქალაქისა არ იშხამებოდეს უწმინდურების სიყრალითა და არა გშხამვიდეს თქვენ, თქვენს ოჯახს, თქვენს წვრილშვილსა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ წყალი უვნებელი და მოუწყვეტელი გქონდეთ და ამასთანაც, რაც შეიძლება იაფი.

თქვენ გინდათ კაცი, რომ რაკი ხორაგს თუ სასმელს ბაზარში ჰყიდულობთ, დახათრიჯამებული იყვნეთ, რომ წამხდარს და მოწამლულს არ შემოგაპარებენ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენს წვრილშვილებს სწავლა-განათლების გზა და სახსარი მისცეს, გული კეთილს შეუჩვიოს, ჭკუა სჯასა და მოსაზრებასა, რამდენადაც შესაძლოა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თითქმის ორ მილიონამდე ყოველწვლივ შემოსავალი ქალაქისა, თქვენგანვე ხარჯად აღებული, თქვენვე და თქვენს ქალაქს საერთოდ ჰხმარდებოდეს გამოზოგვითა და ცოდნითა და არა აქეთ-იქით იფანტებოდეს გულდაუდებლობით და უთადარიგობითა.

ვისაც ხელი მიგიწვდებათ, ყველანი უნდა მიხვიდეთ არჩევანზე და თქვენი მოქალაქური, კაცადკაცური მოვალეობა გადაუხადოთ თქვენს მშობელ ქალაქსა.

იცოდეთ, რომ ვისაც ხვალ ჩააბარებთ საბჭოში ხმოსნობას, იმას აბარებთ მთელის ოთხის წლის თქვენს საერთო სვე-ბედსა, თქვენის ოჯახობის საერთო კეთილსა და ბოროტსა. ოთხი წელიწადი ბევრის რისამეა შემძლებელი, ავიც შეიძლება ბევრი მოგვაყენოს კარს და კარგიც.

გულს ნუ გაიმრუდებთ, სულს ნუ წაიწყმედავთ! იცოდეთ, ეს დიდი საქმე თქვენს ნამუსს, თქვენს სინიდისს, თქვენს პატიოსნებას აბარია. ახსენეთ ღმერთი, და ღვთისა და მართლის სახელით, შეუდექით არჩევანის დიდს საქმეს და მარჯვენას თქვენსას ის არ აქმნევინოთ, რასაც გული და სინდისი არ გეუბნებათ.

როგორ დაიწერა ბიძინა კვერნაძის „ოდა საქართველოს“

მონაზონი ნინო (სამხარაძე), იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი) და ბიძინა კვერნაძე

მცხეთა, სამთავრო... ეს გარემო იმდენად განსაკუთრებულია, იმდენად დიდ ემოციებს აღძრავს, რომ მთელი ცხოვრების გზაზე მიგყვება... ჩვენი აქაური შეხვედრები მის უწმინდესობასთან საქართველოს პატრიარქ ილია II-სთან მორიგი ვიზიტის მერე დაიწყო. ასე ხდება რატომღაც, რომ ყველაფრის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, თავი და თავი საქართველოს პატრიარქია. როცა მასთან დგახარ, ხვდები, რომ ჩვეულებრივი ადამიანი არ არის, გასხივოსნებულია, გარშემო სიწმინდეს აფრქვევს...

ყველაზე მძიმე პერიოდები საქართველოში მისმა უწმინდესობამ გადაგვატანინა. მასთან ურთიერთობა ხომ წარმოუდგენელი სიამოვნებაა. ხშირად ვხვდებოდით საპატრიარქოს რეზიდენციაში. იქ ყოველთვის თავს იყრიდა საინტერესო ხალხი. ჩვენც, ისე როგორც მთელ საქართველოს, როგორ გვიყვარდა ის და გვეიმედებოდა მისი... მან ყველაფერი იცოდა..

ხელოვნი ხალხი მუდამ მოხიბლულია მისი არა მარტო სულიერებით, არამედ საოცარი ნიჭიერებით. მშვენიერ მუსიკას წერდა, ხატავდა... ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე და სიმხნევე მისცეს ჩვენს პატრიარქს...

ერთხელ მისმა უწმინდესობამ დაიბარა ბიძინა, რომ ეჩვენებინა **სამთავროს იღუმენიის დედა ქეთევანის ლექსები. უთხრა, აირჩიე, რომელი ლექსიც გინდა და მუსიკა დაწერეო დედა ქეთევანის ტექსტზე.**

საღამოს, როცა სახლში დაბრუნდა, ერთად გადავხედეთ ამ ლექსების პატარა წიგნს. ეს იყო ამაღლებული ფიქრები საქართველოზე, წმინდანებზე, ქართულ ენაზე... ძალიან ემოციური ლექსი აქვს ლადო ასათიანისადმი მიძღვნილი... ლევან გოთუას ცხოვრების მძიმე ხვედრზეც აქვს კარგი ლექსი... დედა ქეთევანი პროფესიით ფილოლოგია. განსაკუთრებულად ფლობს სიტყვის ძალას და სურნელს... სულით პოეტია. ხშირად ხმარობს ძველ, თითქმის დავიწყებულ სიტყვებს. საერო თემაზეც დაწერილ ლექსებშიც ქმნის ისეთ განწყობილებას, რასაც სასულიერო პოეზია ბადებს.

მე და ბიძინა ერთად ვკითხულობდით ამ ლექსებს... ციოდა, შუქიც არ იყო. სანთლის შუქზე ვისხედით... თითქოს შესაფერისი გარემო შეიქმნა და ჩვენ შეგვიპყრო ამ ლექსების ძალიან ქართულმა სამყარომ... ბიძინამ მაშინვე აირჩია ლექსი, სათაურით **„საქართველო“**. მალე დაწერა ეს ნაწარმოები, დაარქვა: **„ოდა საქართველოს“** და უძღვნა პატრიარქს. მაშინ ბიძინა ჯანმრთელობის მხრივ ძალიან ცუდად იყო, ხელი აღარ ემორჩილებოდა, მაგრამ ეს მაინც დაწერა. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ეს **მისი უკანასკნელი მუსიკალური ნაწარმოები ყოფილა...**

სათანადო შესრულება კი ვერ მოხერხდა. მიზეზი იყო მისი ავადმყოფობაც, გაჭირვების დროც... ეს უნდა შეესრულებინა სიმფონიურ ორკესტრს და გუნდს. სიმფონიურ ორკესტრს უნდა გადაუხადო.... არც თანხები, არც ჯანმრთელობა... არეული გარემო...

ამ ნაწარმოებს დიდი ორკესტრი და დიდი გუნდი სჭირდება, მაგრამ გარკვეული ფორმით მაინც შესრულდა. ჩაიწერა სინთეზატორზე. ეს განახორციელა **მერაბ მამულაშვილმა.** რვაკაციანი, პატარა გუნდიც მონაწილეობდა. ორი სოლისტიც მღეროდა. ერთ-ერთი გახლდათ **სულხან გველესიანი,** ოპერის სოლისტი, არაჩვეულებრივი ტენორი.

გამოვიდა ნოტებიც „ოდა საქართველოზე“... მე განსაკუთრებით მეძვირფასება ეს ნაწარმოები. ეს ბიძინას უკანასკნელი ქმნილებაა... მაშინ ხომ უკვე ვეღარ წერდა. პარკინსონი ჰქონდა. დაუძლურებული იყო ფიზიკურად, მაგრამ სულიერად მაინც მხნედ გახლდათ.

ამ პარტიტურაში არაფერია შემთხვევით მოტანილი, ყველაფერი ნაგრძნობია და განცდილი...

ნაწარმოებზე მუშაობის პერიოდში ხშირად დავდიოდით სამთავროს მონასტერში დედა ქეთევანთან. იქ გავიცანით მონაზვნები, რომლებმაც საოცარი შთაბეჭდილება დატოვეს ჩემზე. გამიჩნდა მათ მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება. მიყვარს ისინი და უდიდეს პატივს ვცემ. ვგრძნობ, რომ ისინი სულ სხვა განზომილებაში ცხოვრობენ, ცხოვრების ამაოებისგან შორს, განწმენდილები...

მახსოვს ის დროც, როცა დედა ქეთევანი მძიმედ ავად იყო და საავადმყოფოში ხელოვნურ სუნთქვაზე დიდი ხნის მანძილზე გახლდათ მიერთებული. უსაზღვროდ განვიცდიდით. საავადმყოფოში მივდიოდით, მაგრამ შიგ არ გვიშვებდნენ და დერეფანში ვგებულობდით მის ამბავს. არ ვიცი, რა ძალამ გამოიყვანა ამ მდგომარეობიდან. **ის საერთოდ ძალიან ძლიერი ადამიანია. ეს ძალა, ალბათ, რწმენაშია. რწმენა სასწაულებს ახდენს. ალბათ, გრძნობდა იმასაც, რომ უნდა გამოჯანმრთელებულიყო და დიდი მისია ჰქონდა: სხვა ადამიანებიც გაემყარებია რწმენაში...**

სამთავროში ერთ-ერთი სტუმრობისას დედა ქეთევანმა მცენარე მაჩუქა პატარა ქოთნით. აი, ნახეთ, როგორ გაიზარდა და გამრავლდა. სხვა ქოთნებშიც გადავრგე და გავამრავლე... როცა ვრწყავ, მუდამ სამთავროში გატარებულ დღეებს მაგონებს... ვფიქრობ, ეს სიმბოლურია...

ნუგეშა მესხი-კვერნაძე

ექმენ უფალო მწედ და მფარველად

ღია წერილი ბატონ რამაზ პატარიძეს



რამაზ ბატონო!

ნება მომეცით, ჩემი დიდი პატივისცემა, უფრო სწორად, ჩემი უკიდეგანო თაყვანისცემა დაგიდასტუროთ და პატიება გთხოვოთ იმ ქართველობის სახელით, ვინც ნამდვილად იცის თქვენი ფასი და დამსახურება იმის გამო, რომ, ჯერჯერობით, ერმა ვერ შეძლო ღირსეულად დაეხარა თავი თქვენ წინაშე.

თქვენი ცხოვრება, დღენიადაგ, ქვის კოდვას ჰგავს, რომელიც თქვენ მისხალ-მისხალ საქართველოს შესწირეთ, დაყუდებული ბერის ასკეტური გაუტეხლობით, რათა ჩვენს ჯიშსა და მოდგმას, მომავალშიც ამაყად და თავაწეულს ევლო ამ ცოდვილ, ამღვრეულ და სისხლიან დედამიწაზე.

„აირევი ივერია“ — ეს ორი სიტყვა ისე, სხვათა შორის, ოხვრას ამოაყოლა მე-20 საუკუნის მსოფლიო გენიოსმა და, აჰა, რას ვგევართ ჩვენ დღეს?!

— ვაი, რომ ბევრის, ძალიან ბევრის ძარღვში სისხლის ნაცვლად, შარდი მიმოდის და ვინ საით ექაჩება, საით გლეჯს და წიწკნის ამ დედა-დედოფლის კუთვნილ სამოთხეს და უფლის სავანეს?!..

— დედაენა! — აი, ნიშანი და უპირველესი დასტური ჩვენი ქართველობის, ჩვენი არსობის და მარადიული ბეჭედი იმისა, რომ შეუძლებელია მსოფლიო ცივილიზაციის განხილვა იმ ერის წარსულისა და აწმყოს გარეშე, ვისაც ეს ენა და დამწერლობა ეკუთვნის!

აი, ამას, ამ საშვილიშვილო საქმეს ემსახურეთ თქვენ მთელი თქვენი ცხოვრება!

დგახართ ვალმოხდილი, ნაომარი და ნაღვაწი და თავზე დაგნათით ქართული ასოები, როგორც „გუნდი და გუნდი ვარსკვლავი“, როგორც წინაპართა ნათელი, ვინაც თვალისჩინივით გამოატარა ამდენი სისხლის წვიმებში დედაენა, ქართველთა ხელთუქმნელი ანბანი, როგორც გვირგვინი, ჩვენი ზეობის და სულიერების!

— ექმენ უფალო მწედ და მფარველად, ერისთვის საჩინო და გამორჩეულ რამაზ პატარიძეს!

მოკრძალებით რეზო ამაშუკელი

◎ **რენესანსის გამოსხივება**

იტალიური „სილამაზე“ და „სინათლე“ თბილისობის დღესასწაულზე



უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მნიშვნელობის კულტურული მოვლენით ხვდება დედაქალაქი თავის დღეობას: საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა იტალიიდან ჩამოტანილ ერთბაშად ორი უდიდესი მხატვრის გამოფენას მასპინძლობს. არსობრივი განსხვავების მიუხედავად, ისინი ერთი სახელწოდებითაა გაერთიანებული — „უნივერსალური ღირებულებები: ბოტიჩელი — სილამაზე, კარავაჯო — სინათლე“.

ორი უდიდესი შემოქმედის ნამუშევრების ერთობლივ გამოფენაზე **მიქელანჯელო მეერიზი და კარავაჯოს** ტილოების ციფრული რეტროსპექტივა და **სანდრო ბოტიჩელის** შედევრის „ვენერას“ ორიგინალია წარმოდგენილი.

იმის მიუხედავად, რომ კარავაჯოს შედევრებს შორის ნატურალური ზომის მაღალი რეზოლუციის 40 ნამუშევარი ციფრული რეპროდუქციის სახითაა წარმოდგენილი, ხოლო ექსპოზიცია მხატვრის შემოქმედებაში ერთგვარ ქრონოლოგიურ, ისტორიულ და თემატურ მოგზაურობას წარმოადგენს — რომის პერიოდიდან მოყოლებული ვიდრე უკანასკნელ ნამუშევრებამდე, მნახველთა ყურადღებას უფრო მეტად მაინც სანდრო ბოტიჩელის „ვენერა“ იპყრობს.

ეს შედევრი 1930 წლიდან ტურინის გალერეა საბაუდას კოლექციის ნაწილია. ბოტიჩელის ამ ტიპის ქმნილებათა ჩვენამდე მოღწეული კიდევ ორი ვარიანტიდან ერთი ბერლინის, მეორე კი ჟენევის სამხატვრო გალერეებშია დაცული.

აღსანიშნავია, რომ მიქელანჯელო კარავაჯოს ნამუშევრების რეპროდუქციები განსხვავებული ტექნოლოგიით შემუშავებული საგანმანათლებლო-მულტიმედიური პროექტია, რომელიც ამ უდიდესი მხატვრის მთელ შემოქმედებას ერთ სივრცეში წარმოადგენს. 2003 წლიდან მოყოლებული გამოფენა იტალიასა და მის ფარგლებს გარეთ მოგზაურობს, მის პოპულარობასა და მიმზიდველობას კი 10 მილიონზე მეტი მნახველი მოწმობს.

მსოფლიო მხატვრობის ორი კორიფეს ნამუშევართა საქართველოში ჩამოტანის პროექტის კოორდინატორია საქართველოში იტალიის რესპუბლიკის საელჩო და იგი ორი ქვეყნის სხვადასხვა ინსტიტუციებს შორის, კერძოდ, იტალიის საგარეო საქმეთა, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებს, ასევე უცხოეთში იტალიური კომპანიების ხელშეწყობის სააგენტოსა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და მთავრობის პროექტის „ჩეკ ინ ჯორჯიას“ შორის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგია.

აღსანიშნავია ისიც, რომ გამოფენის ხარჯის დიდი ნაწილი იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წილია, საქართველოს მხარემ ამ მიზნით 70 ათასი ევრო გაიღო. გამოფენის ორგანიზატორები განსაკუთრებულ ყურადღებას უსაფრთხოებას აქცევენ, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაშია.

ნინო ალექსანდრია,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

რას ვერ იყოფენ ერთმანეთში აფხაზეთში მცხოვრები რუსები?!

სოხუმში, „მოსკოვის სახლში“ აფხაზეთის რუსული თემების გაერთიანების თემაზე მორიგი „მრგვალი მაგიდა“ გაიმართა. ღონისძიებას კაზაკები და აფხაზეთში რუსეთის „საელჩოს“ წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. დისკუსიის მონაწილეებმა იმსჯელეს უთანხმოებებზე, მათ შორის — ფინანსურზე, განიხილეს ასევე ერთობლივი მიზნები და ამოცანები, რომელთა შორის მოქალაქეების დახმარება და აფხაზეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა სახელდება. მიუხედავად ამ მორიგი მცდელობისა, უთანხმოებების დაძლევა და რუსულ თემთა გაერთიანება ვერც ამჯერად მოხერხდა.

მაინც რას ვერ იყოფენ რუსები ერთმანეთში ოკუპირებულ რეგიონში, რომელშიც ფაქტობრივ კონტროლს სწორედ რუსეთის ფედერაცია ახორციელებს? დასაწყისისთვის ვიტყვით, რომ პატარა აფხაზეთში, სადაც სადღეისოდ 22 ათასი რუსი ცხოვრობს, უკვე 25 რუსული საზოგადოებრივი ორგანიზაცია მოქმედებს და რუსული თემის ორგანიზაციების რაოდენობა ლამის ყოველწლიურად იზრდება.

მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი 2011 წელს დაფუძნებული „რუსულ თემთა საკოორდინაციო საბჭოა“, რომელმაც 15 ორგანიზაცია გააერთიანა. ივლისში საბჭოს ინივიატივით 8 რუსულმა ორგანიზაციამ თანამშრომლობისა და ურთიერთქმედების შესახებ შეთანხმებას მოაწერა ხელი. აი, ორგანიზაციების ჯგუფმა „რუსულმა თანამეგობრობამ“ კი უარი განაცხადა „საკოორდინაციო საბჭოს“ მიმართ არსებული რიგი პრეტენზიების გამო. მიზეზად სახელდება, კერძოდ, ის ფაქტი, რომ „საკოორდინაციო საბჭოს“ უფლებამოსილების ვადა ჯერ კიდევ 2015 წლის მარტში ამოეწურა და მას შემდეგ, აგერ უკვე მესამე წელია, ორგანიზაციას კონფერენციები აღარ გაუმართავს.

თავად საბჭო ბრალდებებს უარყოფს: **„ამჟამად დადის ხმები საკოორდინაციო საბჭოს არალეგიტიმურობის თაობაზე. იძულებული ვარ, ყველას შევახსენო, რომ ჩვენი საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციები სამ წელიწადში ერთხელ იმართება (...). ოპონენტები დაუსაბუთებელ ბრალდებებს აჟღერებენ, „თქვენ ხართ პროტეჟეები, სხედხართ და ხერხავთ დახმარებას, რომელსაც მოსკოვი აფხაზეთში რუსეთის საელჩოს შუამავლობით გამოყოფსო“. არადა, არანაირი დაფინანსება საკოორდინაციო საბჭოს არ გააჩნია. ჩვენ ვმონაწილეობთ იმ პროგრამებში, რომელსაც რუსეთის საელჩო ან „россотрудничество“ გვთავაზობს. ჩვენ ვწერთ გრანტებს, განაცხადებს გარკვეული ღონისძიებების გამართავზე და მათი ჩატარებისთვის გარკვეული, სხვათა შორის, მცირე თანხები გამოიყოფა“** — განაცხადა რუსული სათვისტომოების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ იგორ ლიშჩენკომ, რომელიც აფხაზეთის ომის დასრულებისთანავე ჩამოყალიბებულ 1000-კაციან საზოგადოებრივ გაერთიანება „გაგრის რაიონის სლავურ სახლს“ უდგას სათავეში. თუმცა მისმა განცხადებებმა, როგორც ჩანს, არადამაჯერებლად გაიჟღერა და გაისმა მორიგი პრეტენზიები.ერთ-ერთი ყველაზე მწვავე გამოსვლა „მრგვალი მაგიდის“ მსვლელობისას „რუსი თანამემამულეების სამართლებრივი და სოციალური დახმარების ასოციაციის“ ხელმძღვანელს, კავშირ „რუსული თანამეგობრობის“ თავმდომარეს, ცნობილ ფოტოჟურნალისტ ვლადიმერ პოპოვს ჰქონდა. მან საკოორდინაციო საბჭო დატოვა და მის წევრებს მიმართა კითხვებით, რომელიც, როგორც თავად განაცხადა, რუსული თემის წევრთა უმრავლესობას გააჩნია: **„ზრუნავს თუ არა რუსეთის ფედერაცია საკუთარ თანამოქალაქეებზე და რაში გამოიხატება ეს ზრუნვა? რამდენად დიდია განვლილი წლების განმავლობაში რუსებისთვის გაწეული დახმარება ფინანსურ გამოხატულებაში? რატომ არ სრულდება კანონი რუსი თანამემამულეების შესახებ? და რატომ აღარ იმართება საბჭოს საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციები?“**

საბოლოო ჯამში, მხარეებმა საერთო ენა ვერც ამჯერად იპოვეს. შეხვედრის ერთადერთი შედეგი ისაა, რომ ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის სოხუმში დაიგეგმა კონფერენცია, რომელზეც საკოორდინაციო საბჭოს წევრები გაწეული საქმიანობის შესახებ დეტალური ანგარიშით წარსდგებიან.

სოხუმი-ბანია ლუკა: მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი?..

საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე „თავისუფლად გადაადგილებას ზღუდავს“ და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, ამჯერად, ბოსნია და ჰერცოგოვინას ფედერაციაში შემავალმა სერბთა რესპუბლიკის (Republika Srpska) ოფიციალურმა დელეგაციამ დაარღვია.

ოკუპირებულ სოხუმში სერბთა რესპუბლიკის ვაჭრობისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილე დუშანკა ტეგელტიას მეთაურობით, ქალაქების ბიელინასა და ზვორნიკის მერები, ასევე სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრები და ბიზნესმენები სამდღიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ.

ბოსნიელ სერბთა დელეგაცია აფხაზთა ლიდერმა რაულ ჰაჯიმბამ მიიღო და სოხუმსა და ბანია ლუკას შორის „პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების“ სურვილი გამოთქვა. რაულ ჰაჯიმბამ, კერძოდ, თქვა: **„იმედი მაქვს, რომ ეს ურთიერთობები, რომელსაც ახლა ეყრება საფუძველი, მალე უფრო განვითარდება, ვიპოვით საერთო ენას და ჩვენი ქვეყნების კეთილდღეობისთვის ბევრი მიმართულებით ვითანამშრომლებთ. როცა დიდი სახელმწიფოები ამა თუ იმ მიზეზით იშლებოდა, იქმნებოდა ახალი სახელმწიფოები. თქვენი და ჩვენი ისტორია ძალიან ჰგავს ერთმანეთს. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენ კარგი მომავალი გვაქვს“.**

სერბთა რესპუბლიკა იუგოსლავიის სოციალისტური რესპუბლიკის დაშლისა (1991) და ბოსნიის სისხლისმღვრელი ომის შედეგად (1992-1995) წარმოიშვა. 1995 წლის 14 დეკემბერს მიღებული დეიტონის ცნობილი ხელშეკრულებით, ეს თვითგამოცხადებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ბოსნია-ჰერცოგოვინას ფედერაციის ნაწილია.

სერბთა რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი რადოვან კარაჯიჩი (1992-1996) ბოსნიის ომში ჩადენილი გენოციდისა და სამხედრო დანაშაულის გამო, 2016 წლიდან, 40-წლიან სასჯელს იხდის.

ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე საერთაშორისო ტრიბუნალის განაჩენს ამ დრომდე ელის სერბთა რესპუბლიკის არმიის გენშტაბის ყოფილი უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი რატკო მლადიჩი. კარაჯიჩის მსგავსად, მლადიჩსაც გენოციდსა და სრებრენიცის ჟლეტაში ადანაშაულებენ, სადაც 1995 წლის 11 ივლისს ბოსნიელმა სერბებმა 8000-ზე მეტი მუსლიმი ბოსნიელი მოკლეს.

2010 წლიდან სერბთა რესპუბლიკას ნაციონალისტი, რუსოფილი და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, რუსეთის პრეზიდენტ პუტინის აქტიური მოკავშირე მიროსლავ დოდიკი მართავს.

დოდიკი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ბოსნია-ჰერცოგოვინას ნატოში ინტეგრაციას, არ სცნობს კოსოვოს დამოუკიდებლობას, ანექსირებულ ყირიმს რუსეთის ნაწილად მიიჩნევს და სერბთა რესპუბლიკაში რუსეთის სამხედრო ბაზის გახსნა სურს. 2015 წლის ბოლოს, მან ბანია ლუკაში აფხაზ სეპარატისტთა მაშინდელი „საგარეო მინისტრი“ ვიაჩესლავ ჩირიკბა მიიღო.

პრეზიდენტი დოდიკი „სერბული მიწების“, ანუ სერბთა რესპუბლიკის სერბეთთან გაერთიანების იდეით გამოდის. ბოსნია-ჰერცოგოვინას ფედერაციიდან სერბთა რესპუბლიკის გასვლის თაობაზე რეფერენდუმის გამართვას დოდიკი 2018 წელს გეგმავდა, თუმცა ცოტა ხნის წინათ „შიდა სერბული კონსენსუსის“ არარსებობის გამო რეფერენდუმი მომავლისთვის გადადო.

„აფხაზეთში ძალიან კარგად მიგვიღეს, მინდა, ძალიან თბილი სტუმართმოყვარეობისთვის მადლობა გადაგიხადოთ. იმედს გამოვთქვამ, რომ თქვენც მალე იგრძნობთ ჩვენს სტუმართმოყვარეობას და სერბთა რესპუბლიკაში გეპატიჟებით,“ — თქვა სოხუმში სერბთა რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა ზორან ტეგელტიამ.

საქართველოსა და სერბეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა 1995 წელს დამყარდა, თუმცა საელჩოები თბილისსა და ბელგრადში ამ დრომდე არ გახსნილა და არც უმაღლესი დონის შეხვედრები გამართულა (ერთადერთი გამონაკლისი 2017 წლის ივნისში სერბეთის ახალი პრეზიდენტის ალექსანდრე ვუჩიჩის ინაუგურაციაზე საგარეო მინისტრ მიხეილ ჯანელიძის დასწრება იყო). საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე პირდაპირ წერია, რომ „სერბეთთან ორმხრივი ურთიერთობები ნაკლებაქტიურია“.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ სცნობს კოსოვოს დამოუკიდებლობას, ოფიციალური ბელგრადი როგორც გაეროში, ისე ევროსტრუქტურებში ერთმნიშვნელოვნად ანტიქართულ პოზიციას იკავებს. სერბეთი ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ქართველი დევნილების დაბრუნების წინააღმდეგია.

2008 წელს, რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ, ხორვატიიდან გამოძევებულმა, თვითგამოცხადებული „სერბთა რესპუბლიკა კრაინას“ დევნილმა მთავრობამ (რომელიც 1995 წლიდან, სერბეთის დედაქალაქ ბელგრადშია განთავსებული) ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობაც“ ცნო. ამჯერად ამ მიმართულებით ბოსნია ჰერცოგოვინას სერბთა რესპუბლიკა აქტიურობს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მკაცრად დაგმო ოკუპირებულ აფხაზეთში სერბთა რესპუბლიკის, სირიის, ე.წ „ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკისა“ და „დნესტრისპირეთის“ დელეგაციების უკანონო ვიზიტები და ამ ნაბიჯებს, რუსეთის მხრიდან, „სუვერენული სახელმწიფოს საზღვრების ძალადობრივი ცვლილების ლეგიტიმაციისა და ქართველთა ეთნიკური წმენდის არაერთი ტალღის დაკანონების“ მორიგი მცდელობა უწოდა.

წყარო: www.amerikiskhma.com

მადაგასკარზე შავი ჭირის ეპიდემია მძვინვარებს

ადგილობრივი ხელისუფლების მონაცემებით, ამ დროისათვის დაავადებით 230 ადამიანზე მეტი ადამიანია რეგისტრირებული. ეპიდემიამ უკვე იმსხვერპლა 33 ადამიანი. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ რეგიონში 1,2 მილიონი ვაქცინა გაგზავნა.

ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი გამოვლინდა

მშვიდობის დარგში ნობელის პრემია ბირთვული იარაღის აკრძალვის საერთაშორისო კამპანიას გადაეცა. ჯგუფმა პრესტიჟული ჯილდო ბირთვული იარაღის გამოყენების შემთხვევაში კატასტროფულ ჰუმანიტარულ შედეგებზე ყურადღების გამახვილებისთვის დაიმსახურა. მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის მინიჭება ყოველწლიურად ოსლოს კომიტეტის ხუთი წევრის მიერ ხდება, რომლებსაც ნორვეგიის პარლამენტი ირჩევს. შარშან ანალოგიური ჯილდო კოლუმბიის პრეზიდენტ ხუან მანუელ სანტოსს გადაეცა მემარცხენე რადიკალურ დაჯგუფებასთან თითქმის 50-წლიანი კონფლიქტის დასრულებისთვის. წესების თანახმად, აღნიშნულ პრემიაზე ნომინირებულთა სახელების გასაჯაროება მხოლოდ 50 წლის შემდეგ ხდება.

ეკლესიამ საკუთარი წარმოების ლუდი გამოუშვა

ბრიუსელში, სენტ კატრინის ეკლესიამ ბელგიური ტრადიციული ლუდის წარმოება გადაწყვიტა, მიღებულ თანხებს კი ინფრასტუქტურის განვითარებასა და მრევლს მოახმარს. ახალი ლუდი „სტე კატი“ ხილის არომატითაა გაჯერებული. ახალ ლუდში ალკოჰოლის შემცველობა მხოლოდ 7-პროცენტია. დასაწყისისთვის 50 ათასამდე ბოთლის წარმოება იგეგმება, მოცულობის გაზრდა კი გაყიდვებზე იქნება დამოკიდებული.

ვატიკანის ხაზინადარის სექსუალური ვნებები...

ვატიკანის ხაზინადარი, 76 წლის ჯორჯ პელა მელბურნის სასამართლოს წინაშე წარდგა. მას ბრალი სექსუალურ ძალადობაში ედება. თუმცა ეს უკანასკნელი ყოველივეს უარყოფს და აცხადებს, რომ ყველაფერი მისი სახელის შესაბღალად ხდება.

ვატიკანში გადასვლამდე იგი სიდნეისა და მელბურნის არქიეპისკოპოსი გახლდათ. სამი წლის წინ კი „წმიდა ტახტის“ ხაზინადარის თანამდებობაზე დაინიშნა. სასამართლოდან გამოსვლის შემდეგ მას განცხადება არ გაუკეთებია, თუმცა თავს უდანაშაულოდ თვლის.

8 წლის გენიოსი თუ პოლიტიკური პროექტი?!

მსოფლიოს მკითხველი საზოგადოება დღეს იმ პატარა სირიელ გოგონაზე საუბრობს, რომლის წიგნის პრეზენტაციაც, ზუსტად იმ დღეს მოეწყო, როდესაც ნობელის პრემიის გამარჯვებულები დაასახელეს.

8 წლის ბანი ალ-ბედი, უკვე ერთი წელია, სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ საკუთარ ნაწერებს აქვეყნებს და საკმაოდ დიდი აუდიტორიაც შემოიკრიბა. საოცარია ის ფაქტი, რომ წიგნშიც და სოციალურ ქსელშიც გოგონა ინგლისურად წერს, არადა, ამ ენაზე არ საუბრობს.

მსოფლიო სვამს კითხვას — „ვისთან გვაქვს საქმე, ვუნდერკინდთან თუ კარგად დაგეგმილ პოლიტიკურ პროექტთან“?

გოგონამ ცხოვრებაში იმდენი რამ გადაიტანა, რასაც ბევრი ზრდასრული ადამიანი ვერ გაუძლებდა.

„ძვირფასო მსოფლიო!, ჩვენ შეუჩერებლად გვბომბავენ, სწორედ ახლა, ამ წუთს, შენ რატომ დუმხარ“ — ეს ბავშვის ცნობილი ფრაზაა სოციალური ქსელიდან. წიგნსაც სწორედ ასე დაერქვა „ძვირფასო მსოფლიო“! ბანი ალ-ბედის დედა პედაგოგია და სავარაუდოა ინგლისურად წერა სწორედ მისგან ისწავლა, მაგრამ რატომ არ ასწავლის დედა მას ამ ენაზე საუბარს, ბევრ კითხვას აჩენს...

გოგონამ ომის შესახებ ისეთი დეტალები იცის, ბევრი ეჭვი ჩნდება, რომ ამ პროექტის უკან დიდი ფული და პოლიტიკური ვნებები იმალება. „Washington Post“-მა სირიელი გოგონა ანა ფრანკსაც კი შეადარა.

ჟურნალისტი ზედმეტი მუშაობისგან გარდაიცვალა

„იაპონიის სამაუწყებლო კომპანიის „NHK“-ის ჟურნალისტის მივა სადოს სიკვდილის მიზეზი არანორმალური სამუშაო გრაფიკი გახდა.

„The Guardian“-ის ცნობით, სწორედ მისმა გადატვირთულმა გრაფიკმა გამოიწვია გულის შეტევა, რის შემდეგაც 31 წლის ქალბატონი, საკუთარ ლოგინში, მობილურით ხელში გარდაცვლილი იპოვეს.

მივა სავო დღეში 12 საათი მუშაობდა და თვეში მხოლოდ 2 დღეს ისვენებდა. მან 2013 წლის არჩევნების დროს 159 ზედმეტი საათი იმუშავა.

კორპორაცია აცხადებს, რომ აქამდე ამ ინფორმაციას არ ასაჯაროებდა, რადგან ჟურნალისტის ახლობლებს უფრთხილდებოდნენ. მათივე თქმით, ორგანიზაციას ამ კუთხით სერიოზული პრობლემები აქვს.

ლეგენდარული ჩოგბურთელი ვალების გამო საკუთარ ჯილდოებს ყიდის

გერმანული წარმომავლობის ჩოგბურთის ლეგენდა, უიმბლდონის სამგზის ჩემპიონი 1980-იან წლებში ბორის ბეკერი ვალებს ვეღარ აუდის.

2017 წელს ლონდონის სასამართლომ იგი გაკოტრებულად გამოაცხადა. მისი ვალი 60 მილიონ ევროს აღემატება.

ამ მდგომარეობამდე ბეკერი არასწორმა ფინანსურმა ინვესტიციებმა მიიყვანეს. ამას დაემატა განქორწინების შემდეგ ყოფილი მეუღლისთის 10 მილიონი ევროს გადახდა. აგრეთვე რუს მოდელ ანჟელა ერმაკოვას, რომელთანაც ქალიშვილი შეეძინა, 2 მილიონი ფუნტი სტერლინგი ჩაურიცხა.

ახლა ყოფილი ჩემპიონი საკუთარი ჯილდოების, თასებისა და ელიტარული საათების კოლექციის გაყიდვას აპირებს. თუმცა ამ საგანძურთან შელევაც კი ვერ უშველის მის ვალებს.

მოამზადა რუსუდან ქობულიამ



„მამიკოს გოგო“

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში ახალი ფილმის გადაღებები მიმდინარეობს. „მამიკოს გოგო“ („Daddy's Girl“) — ასე ჰქვია მხატვრული ჟანრის ფილმს, რომელზეც ქართული საპროდიუსერო კომპანია „სარკე სტუდია“ მუშაობს.

ფილმის რეჟისორია ცნობილი ბრიტანელი რეჟისორი ჯულიარდ რიცარდსი (Julian Richards), რომელსაც ისეთ ცნობილ ფილმებზე აქვს ნამუშევარი, როგორებიცაა: „Pirates“, „Queen Sacrifice“, „Darklands“ და ა.შ. ფილმის გადაღებები ოქტომბრის შუა რიცხვებამდე გაგრძელდება და ამ პროცესში 200-ზე მეტი ადამიანი დასაქმდება. ქართველ და უცხოელ მსახიობებთან ერთად ფილმის ერთ-ერთ მთავარ როლს ცნობილი ჰოლივუდის მსახიობი კოსტას მანდილორი (Costas Mandylor) შეასრულებს. ფილმის თემატიკიდან გამომდინარე, გადაღებებისთვის საკმაოდ საინტერესო ლოკაციები შეირჩა — კოჯრის მიმდებარე ტერიტორია, თბილისის ძველი უბნები და ქალაქის გზატკეცილები. კინოინდუსტრიის წახალისების პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში, საერთაშორისო პრომოკამპანიისა და გაცნობითი ხასიათის პრეზენტაციის შედეგად, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა ქვეყანაში ტარდება, საქართველო, როგორც კინოგადაღების მოედანი, უფრო და უფრო აქტუალური ხდება და უცხოელი პროდიუსერების დაინტერესებაც მატულობს.

ანბანით მოთხრობილი საქართველო

2018 წელს საქართველო „ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე“ საპატიო სტუმარი ქვეყანა იქნება.

ღონისძიებასთან დაკავშირებით, ქართული წიგნის ეროვნულმა ცენტრმა და კულტურის სამინისტრომ შექმნა პროექტის ოფიციალური ანიმაციური ვიდეო რგოლი — Georgia Made by Characters / ანბანით მოთხრობილი საქართველო.

ვიდეორგოლში ანბანური თანმიმდევრობით თითოეული ქართული ასო საქართველოს შესახებ მცირე ისტორიას გვიამბობს. მაგალითად, „დ“ ასოზე მოთხრობილია დმანისის ადამიანის შესახებ, „მ“ ასოზე მთხრობელი მედეას შესახებ საუბრობს, „ნ“ ასოზე — ნაცარქექიას, „ფ“ ასოზე ფიროსმანის „ღ“ ასოზე — ღვინის, „ჭ“ ასოზე — ილია ჭავჭავაძის შესახებ. ანიმაციის ავტორია JWT METRO, მუსიკა კი ნიაზ დიასამიძეს ეკუთვნის.

საქართველო

ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი

კრედიტის/სესხის #.: 3520-GEO

დავალების სახელწოდება: გარე მონიტორინგის ადგილობრივი კონსულტანტი

საქართველომ აზიის განვითარების ბანკისა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკისგან მიიღო დაფინანსება ბათუმის შემოვლითი გზის პროექტის განხორციელებისათვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატავად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **გარე მონიტორინგის ადგილობრივი კონსულტანტი.**

კონსულტანტის მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოცემულია აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდზე:
https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/OA.jsp?OAFunc=XXCRS_CSRN_PROFILE_PAGE&selNo=137938

დავალების საავარაუდო ხანგრძლივობაა 12 თვე.

შერჩევა განხორციელდება ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდის გამოყენებით აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს თანახმად Guidelines on The Use of Consultants by Asian Development Bank and Its Borrowers, რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.adb.org/documents/guidelines-use-consultants-asian-development-bank-and-its-borrowers

ინტერესის გამოხატვა წარმოდგენილ უნდა იქნას ინგლისურ ენაზე აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდის:
https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/OA.jsp?OAFunc=XXCRS_CSRN_PROFILE_PAGE&selNo=137938

ან საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის info@georoad.ge მეშვეობით, არაუგვიანეს 2017 წლის 18 ოქტომბრისა.

GEORGIA

Batumi Bypass Road Project

Credit/Loan No.: Loan 3520-GEO

Name of the Assignment: National External Monitoring Consultant

Georgia has received financing from Asian Development Bank (ADB) and Asian Infrastructure Investment Bank (AIIB) toward the cost of the **Batumi Bypass Road Project (BBRP)** and intends to apply part of the proceeds of this loan to procure goods, civil works and consulting services under the Project with co-financing of the Georgian Government.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia invites the eligible individual consultants to express their interest for the following Consultancy Service: **National External Monitoring Consultant**.

The duties, responsibilities and qualification requirements for the assignment are available at ADB Consultant Management System: https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/OA.jsp?OAFunc=XXCRS_CSRN_PROFILE_PAGE&selNo=137938

Approximate duration of the assignment: 12 months.

Selection will be done according to the recruitment of individual consultant selection method provided in Guidelines on The Use of Consultants by Asian Development Bank and Its Borrowers (available at http://www.adb.org/documents/guidelines-use-consultants-asian-development-bank-and-its-borrowers)

Expressions of Interest (EOI) will be submitted in the English language by means of the ADB web- page: https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/OA.jsp?OAFunc=XXCRS_CSRN_PROFILE_PAGE&selNo=137938 or delivered to the official e-mail of the Roads Department of Georgia: info@georoad.ge not later than **October 18, 2017.**

ჯუანშერ ვათაძე

პეტრე დიდი – ბაგრატიონთა შთამომავალი?

ვინ იყვნენ პირველი ქართველი დასავლეთევროპელები?

ერეკლე I

უდოდ დაცულ ნატალია ნარიშკინას წერილებს ნიკოლოზ დავითის ძისადმი. ჩვენთვის მხოლოდ გადმოცემით ცნობილი მათი შინაარსის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ პეტრე I-ის გენეტიკური წარმომავლობის დასადგენად სადღეისოდ ყველაზე სარწმუნო საიმედო წყაროდ, ჩვენი აზრით, ბრენერის წიგნში დამოწმებული სათანადო ცნობა უნდა მივიჩნიოთ. მისი მიწოდება შვედი დიპლომატისთვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ ერეკლე I (ნიკოლოზ დავითის ძეს) შეეძლო, რომელმაც ეს, ვფიქრობთ, შეგნებულად გააკეთა, რადგან იძულებით რჯულგამოცვლილს რუსეთთან მისი დამაკავშირებელი ყველა ხიდი ჩატეხილად მიაჩნდა. მაგრამ როგორი იყო თვით ჰ. ბრენერის დამოკიდებულება მის მიერ დადგენილი ამ ფაქტის გახმოვანებასთან (ან პირიქით) დაკავშირებით? როგორც ვნახეთ, თავის გამოქვეყნებულ ნაშრომში მან ამ საკითხში გარკვევა გათვითცნობიერებულ მკითხველს მიანდო, რადგან პეტრეს დაუოკებელი ხასიათის

შვედი დიპლომატისა და სწავლულის პეტრე I-ის პირადი განკარგულებით დაპატიმრებისა და ტყვეობის უმკაცრეს პირობებში ხანგრძლივად ყოფნის (20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში) ნამდვილ მიზეზს, როგორც უკვე ცნობილია, შემდეგი გარემოება წარმოადგენდა. სპარსეთში შვედეთის ელჩობის წევრად ჩასული ჰ. ბრენერი ერეკლე I-ის კეთილგანწყობით სარგებლობდა. რადგან მას შესაძლებლობა მიეცა ქართველი მეფის მფარველობით თავისი აღმოსავლეთმცოდნეობითი ინტერესები დაეკმაყოფილებინა, ბრენერი ისპაჰანში მეტ ხანს დარჩა, ვიდრე შვედეთის ელჩობა. სპარსეთის საპასუხო ელჩობის შემადგენლობაში შვედეთში გამგზავრებამდე იგი თავის შთაბეჭდილებებს ე.წ. უბის წიგნაკებში (იგივე დღიურში) აფიქსირებდა. მის ჩანაწერებს შორის, რომლებიც ერეკლე I შეეხებოდა, აღმოჩნდა ამ უკანასკნელის მიერ (როგორც ჩანს, შვედი მეცნიერის პატივსაცემად მოწყობილი წვეულებისას) სტუმრისათვის ანაზდად განდობილი ცალკეული ეპიზოდი რუსეთში მისი ხანგრძლივი ცხოვრებიდან, რომელთა შორის პეტრე I-ის მიმართ მისი მამობის ამბავიც აისახა. თუ რა შედეგი მოჰყვა ერეკლე I-ის ამ გულახდილობას ჰ. ბრენერის მომავალი ბედისათვის წინამავალი მოთხრობიდან უკვე ცნობილია: არხანგელსკში მისთვის ჩამორთმეული ხელბარგიდან ოდიოზურად მიჩნეულ იქნა მისი უბის წიგნაკები, რომელთა შინაარსს თვით პეტრე I გაეცნო და რამაც ჰ. ბრენერის 20-წლიანზე მეტი ხნის პატიმრობა გამოიწვია.

ამრიგად ჰ. ბრენერს ჰქონდა საფუძველი პეტრე I-სადმი სიძულვილი რომ ჰქონოდა, მაგრამ შვედ სწავლულს იმავდროულად მის მოულოდნელ გამოვლინებათა წინაშე შიშის გრძნობაც ჰქონდა, რადგან მას „შეშლილ“ ადამიანად აღიქვამდა (რომელსაც შეეძლო, მაგალითად, „საიდუმლოს“ გახმიანების შემთხვევაში რუსეთ-შვედეთის ომი განეახლებინა), რის გამო თავისი გამოქვეყნებული ნაშრომის ბოლოს, სათანადო ადგილას, მისი სახელის სრულფასოვანი გაშიფვრისაგან თავი შეიკავა, თუმცა უეჭველად სწორედ მას გულისხმობდა. ზემოთ დამოწმებულ შესაბამის ფრაზას სხვა ახსნა-განმარტება არ გააჩნია: ერეკლე I-ის უფროსი ვაჟიშვილის იდენტიფიცირება პეტრე I-თან, ჩვენი ღრმა რწმენით, არავითარ დაეჭვებას არ უნდა იწვევდეს (სხვა შემთხვევაში ჰ. ბრენერს ერეკლე I-ის მოსკოვში დარჩენილი უფროსი ვაჟის მიმართ ემოციური უარყოფითი გამონათქვამებისგან თავი უნდა შეეკავებინა და მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით შემოფარგლულიყო). საინტერესოა შემდეგი გარემოებაც: **რუსულ ისტორიოგრაფიაში ხსენებაც კი არ არის იმის შესახებ, რომ ნიკოლოზ დავითის ძე ბაგრატიონს მოსკოვში ქორწინების გარეშე დაბადებული უფროსი ვაჟიშვილი დარჩა (მით უმეტეს რუსეთის მომავალი მეფე), თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზემოთ მოხსენიებულ „ცგადას“ გასაიდუმლოებულ ფონდში სავარა-**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №198-205

ნანოდ დაბადებული ვაჟიშვილი ჰყავდა, თუმცა მსგავსი ფაქტი ერთ-ერთ ქართულ წყაროში კომენტარის გარეშეა დამოწმებული. შევეცდებით, მკითხველს შეძლებისამებრ საფუძვლიანად მოვუთხროთ მის შესახებ მცირეოდენი ჩვენი კომენტარითურთ.

მიუხედავად იმისა, რომ მეფე ალექსი მიხეილის ძესა და ქართველ ბატონიშვილ ნიკოლოზ (ერეკლე) დავითის ძეს შორის არსებულმა ზედმიწევნით გულთბილმა ურთიერთდამოკიდებულებამ ამ უკანასკნელის 1674წ. მოსკოვიდან გამგზავრების წინ მეტად გულგრილი ხასიათი მიიღო, ირკვევა, რომ რუსეთის მეფეს ქართველ ბატონიშვილზე გული შესტკიოდა, რადგან იმ ქვეყანაში მიემგზავრებოდა, სადაც მისი მომავალი ბედი ბოლომდე არ იყო გარკვეული. ზემოთ აღნიშნული ქართული წყარო, კერძოდ, იმის დადგენის შესაძლებლობას იძლევა, რომ აღმზრდელი და აღზრდილი მოსკოვში გამოთხოვებისას იმაზე შეთანხმებულან, რომ ნიკოლოზ დაგამოცვლის გარეშე ხელდასმის ჩათვლით. ერეკლე, **„რა რაყამი მიუვიდა, რუსეთის ხელმწიფეს დაეთხოვა და დედა და *შვილი*** (ხაზგასმა ჩვენია – ჯ.ვ.) **იქ გაუშვა და წამოვიდა და თუშეთის გზით კახეთს ჩამოვიდა და შაჰნაზარ ხან** (არჩილ II – ჯ.ვ.) **კახეთში ბატონობდა და ქეთევან დედოფლობდა და ოცი წელიწადი იყო და ამათ ერთმანეთი არ ენახა“.** დასთან და სიძესთან ცოტა ხნით სტუმრობის შემდეგ ერეკლე 250-კაციანი ამალის თანხლებით შირვანზე გავლით ყაზვინში ჩავიდა, სადაც შაჰ სულეიმანს შეხვდა, რომელმაც ქართველ ბატონიშვილს საპატიო შეხვედრა მოუწყო: **„ბატონიშვილ ერეკლეს დაჰპატიჟეს და თავისის ჯარით, ქართულად მოკაზმულნი, ყველანი ახალგაზრდა ვაჟკაცნი, ტურფანი და შვენიარნი ნამეტნავად ბატონიშვილს ერეკლეს წვერ ულვაში ახლა ეხვეოდა და ტანად ყველას უმაღლესი იყო და ნაქმრად ყველას აჯობინეს. რა ალაყაფის კარს მოვიდა, თაყვანი სცა და მიწას დაემხო და კარის ზღურბლს ემთხვივა... რა მეჯლის შიგ შე-**

თეიმურაზ I

გამოვლინებებს, შესაძლოა, მართლაც ერიდებოდა. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: პეტრე I-ის კასპიისპირეთში ლაშქრობის შესახებ შვედეთის საკანცელარიო კოლეგიისათვის წარდგენილ თავის რელაციაში ჰ. ბრენერი „სპარსულ ამბებში“ განსახილველ პრობლემასაც ხომ არ გულისხმობდა, როდესაც კანცელარიას შემდეგ დაპირებას აძლევდა: **„არ დავაყოვნებ, შეგატყობინოთ მომდევნო ინფორმაცია სპარსულ ამბებზე, რომლებიც ჩემს დღიურში გადავწერე მათი საკუთარი ხელნაწერებიდან და ტრაქტატებიდან, რომელთა შესახებ ჯერ არავინ იცის და რომლებსაც დიდი მონდომებით ვინახავდი. ამასთან მეფის (პეტრე I-ის) ბრძანებით (ისინი) ჩამომართვეს და (თვითონ) ათვალიერებდნენ“.**

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიასაც არ გააჩნია ცნობა იმის შესახებ, რომ ნიკოლოზ (ერეკლე) დავითის ძეს მოსკოვში უკა-

ვითის ძის სპარსეთში ჩასვლამდე ან მის კვალდაკვალ იქ რუსი ელჩიც ჩავიდოდა, რომლის მოქმედებისთვის ქართველ ბატონიშვილს მხარი უნდა აეება თავისივე კეთილდღეობის მიზნით. ქვემოთ წარმოდგენილი ფაქტობრივი მონაცემებიდან ირკვევა, რომ ამ შეთანხმების საფუძველზე ჯერ კვალდაკვალ ალექსი მიხეილის ძემ გაგზავნა ელჩობა სპარსეთში, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრემ მეფე თევდორე ალექსის ძემაც (1679 წ.): სწორედ ამ ელჩობას გაჰყვა თან ისპაჰანში თავის შვილთან, ნიკოლოზ-ერეკლესთან შესახვედრად დედამისი, დედოფალი ელენე ლევანის ასული.

ქართველი ბატონიშვილის დასახმარებლად ალექსი მიხეილის ძის მიერ შემუშავებული ამ პოზიციის არსი ორი საისტორიო წყაროს მეშვეობით ვლინდება – ქართულისა და ფრანგულის, ქართული წყარო იმავდროულად შესაძლებლობას იძლევა, გავერკვიოთ იმაშიც, თუ რა უსწრებდა წინ და რამ შეუწყო ხელი ქართველი ბატონიშვილის მოსკოვიდან სპარსეთში გამგზავრებას. XVIIს. ცნობილი ქართველი მემატიანის ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიაში“, კერძოდ, აღნიშნულია, რომ 1672 წ. დამდეგს ერეკლემ (ნიკოლოზ დავითის ძემ) მიმართა სპარსეთის შაჰს წერილით, რომელშიც სურვილი გამოთქვა პირადად ხლებოდა მას ისპაჰანში, რათა სამემკვიდრეო უფლებით მის კუთვნილ კახეთის სამეფოს კანონიერ მმართველობაზე სათანადო რწმუნება მიეღო. როგორც უკვე ითქვა, შაჰმა კეთილგანწყობით აღიქვა ეს წინადადება, რადგან იმ კონკრეტულ ვითარებაში ბატონიშვილ ერეკლეს ვახტანგ V – შაჰნავაზის რეალურ საპირწონე ძალად განიხილავდა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში შესამჩნევად გაზრდილი გავლენის გამო სპარსეთის სამეფო კარს დაძაბულობის უსიამოვნო გრძნობას უნერგავდა. ამიტომ შაჰმა ცოტა ხნის შემდეგ მოსკოვში თავისი შიკრიკი წარგზავნა: მან ერეკლე ბატონიშვილს შაჰის „რაყამი“ გადასცა, რომელშიც სპარსეთში საგანგებო მიწვევის გარდა მისთვის სასიკეთო ყოველგვარი დაპირება იყო აღნიშნული, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი – კახეთის ტახტზე რჯულის

შაჰ სულეიმანი. XVII საუკუნე

მოვიდა, ბატონიშვილის სიტურფემან და შვენიარობამან და ტანადობის ნაქმრობამან ყველაკანი გაკვირვებული შეიქმნეს. წადგა და ხემწიფეს ფეხს აკოცა და მარჯვნით ყველას ზეით დასვეს და თორმეტი ყმანიც მეჯლის შიგ დაუსხეს. ხემწიფემ სამჯერ წინიხმო და უწინ რუსეთის ხემწიფის ანბავი ჰკითხა და მერმე თავისი და რუსთ შექცევა და გაწყობა და მათი კაცობა გამოჰკითხა. მას უკან რომლის გზით მოსვლა და გარჯა. უწინ ნახვაზე ხემწიფემ კარგის თვალით ნახა და შეიყვარა, თავად დიდ გვარის კაცობისათვის და მერმე შვენიარობისათვის და კარგად აგებულობა მოუწონა. წელიწადში ორი ათასი თუმანი თეთრი და დღეში თორმეტი ჭიქა შირაზული ღვინო და ხუთასი თუმანი ხონსრის მაჯულაჰთი ღვინისა და მაზდის ფასად გაუჩინა, სხვებს წყალობებს გარდაის ამაებს ყოველ წელიწადს მოსცემდეს“.

ამრიგად, როგორც ირკვევა, ზემოთ ციტირებულ XVIIს, ქართულ წყაროში ჰ. ბრენერზე უფრო ადრე იყო დაფიქსირებული ფაქტი ნიკოლოზ დავითის ძის (ერეკლეს) უკანონო ვაჟიშვილის არსებობისა, რომელიც მან, ისევე როგორც დედამისი, 1674წ. მოსკოვში დატოვა, როდესაც იქიდან სპარსეთში გაემგზავრა. ეს ბავშვი უკანონო უნდა ყო-

ფილიყო, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, ერეკლე ბატონიშვილმა ოფიციალურად მხოლოდ სპარსეთში იქორწინა. ამასთან ერთად ისიცაა ცნობილი, რომ რუსეთში ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მისი ქორწინების, ან მით უმეტეს ვაჟიშვილის შეძენის რაიმე დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს. მაგრამ ინტერესს ის გარემოება იწვევს, რომ XVIIს. 50-იან წლებში აღმოცენებული თუმცა არარეალიზებული მოსაზრება ნიკოლოზ დავითის ძის (ერეკლეს) მეფე ალექსი მიხეილის ძის უმცროს დაზე ტატიანა მიხეილის ასულზე დაქორწინების შესახებ თურმე მოგვიანებით (20 წლის შემდეგ) „გალვანიზებულ“ იქნა რუსეთ-სპარსეთის მოლაპარაკებებში, როდესაც ისპაჰანში შაჰ სულეიმანის კარზე მეფე ალექსი მიხეილის ძის მიერ წარგზავნილი რუსი ელჩი ჩავიდა ცოტა ხნით ადრე, ვიდრე იქ ერეკლე ბატონიშვილმა ჩააღწია. ამას ადასტურებენ ქვემოთ მოტანილი ამონარიდები იმ დროს სპარსეთის სამეფო კარზე მყოფი ცნობილი ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის წიგნიდან. საუბარია ფრანგი მოგზაურის კომენტარზე, რომელიც მან იმხანად ისპაჰანში მიმდინარე რუსულ-სპარსულ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით გააკეთა: **„28 ოქტომბერს (1674 წ.) ხელმწიფის (შაჰის) სასახლეში ყოფნისას შემატყობინეს ხელმწიფის კარის პასუხი მოსკოვის საგანგებო ელჩისადმი, რომელიც რამდენინე ხნის წინათ ჩამოვიდა სპარსეთში და მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს იმის გაგება, თუ რა დავალება ჰქონდა ამ ელჩს (თავისი მეფისაგან)“.** შემდეგ შარდენი იხსენებდა ზოგიერთ ეპიზოდს თეიმურაზ I-ის მეფობის ისტორიიდან, კერძოდ, როდესაც ეს უკანასკნელი XVII ს. 50-იანი წლების დამდეგს იძულებული გახდა, ხელი შეეწყო თავისი შვილიშვილის ნიკოლოზ – ერეკლესა და მისი დედის ელენე ლევანის ასულის რუსეთში ემიგრაციისათვის. **„დიდმა მთავარმა (რუსეთის მეფემ – ჯ.ვ.) – განაგრძობდა შარდენი, – დიდი პატივით მიიღო (ქართველი) დედოფალი და მისი ვაჟი, მიუჩინა მათ ჩამომავლობისა და უწინდელი მდგომარეობისათვის შესაფერისი ბინა, ხოლო როდესაც ვაჟმა გარკვეულ ასაკს მიაღწია, თავისი ასული მიათხოვა მას და დაჰპირდა, რომ გამოიყენებდა თავის გავლენას სპარსეთის ხელმწიფესთან, რათა იგი საქართველოს სამეფოში მეფისნაცვლად დაებრუნებინათ. სწორედ ამის გამო მოვიდა ეს საგანგებო ელჩი სპარსეთის ხელმწიფის კარზე. დიდი მთავარი ხელმწიფეს (შაჰს – ჯ.ვ.) ელჩის პირით უთვლიდა, რომ რაკი მან თავს იდო თეიმურაზის შვილიშვილის, საქართველოს ტახტის კანონიერი მემკვიდრის მფარველობა და რაკი იმ პირობების შესაბამისად, რომლითაც ეს სამეფო დაემორჩილა სპარსეთს, პირველ ყოვლისა გათვალისწინებული იყო, რომ საქართველოს მეფისნაცვლები მისი უკანასკნელი მეფის თეიმურაზის საგვარეულოდან უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო ვინაიდან თეიმურაზის შვილიშვილი მტკიცედ არის დაკავშირებული მის პიროვნებასთან, იგი იმედოვნებს, რომ მისი სპარსული უდიდებულესობა სიამოვნებით მოიქცევა სწორედ ასე, დაიცავს სამართლიანობას და აუცილებლად ჩაერევა ამ საქმეში. საგანგებო ელჩთან ერთად (იგი) აგზავნის თავის სიძეს – ახალგაზრდა უფლისწულს, რათა მან მის უდიდებულესობას ფეხები დაუკოცნოს და მიიღოს მისგან საქართველოს მეფის ნაცვლობა. ასეთი იყო დიდი მთავრის წერილების შინაარსი, რომლებიც საგანგებო ელჩმა წარუდგინა სპარსეთის ხელმწიფეს“.**

სულეიმან შაჰისადმი მეფე ალექსი მიხეილის ძის მიმართვის შინაარსის შარდენისეულ გადმოცემაში, რომელიც ბატონიშვილ ერეკლე – ნიკოლოზ დავითის ძეს უკავშირდებოდა, ეს უკანასკნელი რუსეთის მეფის უკვე შემდგარ სიძედ არის წარმოდგენილი, მაგრამ აქ სიტყვაც კი არ არის ნათქვამი იმაზე, რომ მას მოსკოვში დედა და იქ შეძენილი ვაჟიშვილიც დარჩა. საინტერესო ის არის, რომ ამის შესახებ საკმაოდ მკაფიოდაა ნათქვამი ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიიდან“ ზემოთ დამოწმებულ ამონარიდში, რომელიც მაშინ, ისევე როგორც ჟან შარდენი, შაჰის კარზე იმყოფებოდა და ამ დროისათვის კარის მოხელის რამდენიმე თანამდებობაც კი გამოიცვალა. როგორი ახსნა შეიძლება მოეძებნოს ამ ფაქტს? რუსი ელჩის მიერ ერეკლე ბატონიშვილის რუსეთის მეფის სიძედ წარმოჩენა, ჩვენი აზრით, იმაზე გათვლილი დიპლომატიური ფანდი იყო, რომ ქართველი ბატონიშვილის სასარგებლოდ აღძრული რუსეთის მეფის ოფიციალური შუამდგომლობა იმავდროულად აღქმული ყოფილიყო როგორც მონარქის გულითადი თხოვნა „საკუთარი სიძის“ შესახებ. ცხადია, რომ ეს დიპლომატიური ფანდი რუსი ელჩის ინიციატივას არ წარმოადგენდა. იგი უეჭველად მოსკოვში შემუშავდა თვით მეფე ალექსი მიხეილის ძის დასტურით.

ჟან შარდენი

ვფიქრობთ, სულ სხვა ახსნა აქვს ცნობას მოსკოვში ერეკლე ბატონიშვილის ვაჟიშვილის დარჩენის შესახებ, რომელიც XVII ს. ქართველი ისტორიკოსის ნაწარმოებში განსახიერდა და რომელიც აზრობრივად ეხმიანება და ურთიერთშემავსებელიცაა რუსი ელჩის მიერ შაჰისათვის მიწოდებული ცნობისა იმის თაობაზე, რომ ერეკლე თითქოს რუსეთის მეფის სიძე იყო. მოსკოვში ჭეშმარიტად დატოვებული ვაჟიშვილის შესახებ საიდუმლო ინფორმაციის „გაჟონვის“ ინიციატივა, ჩვენი აზრით, ერეკლე ბატონიშვილს მიეწერება. მან არა იმდენად მიმნდობლურად, რამდენადაც, ვფიქრობთ, შეგნებულად გაანდო თავის თანამემამულეს, შაჰის კარის მოხელე ფარსადან გორგიჯანიძეს მოსკოვში თავისი პირმშო ვაჟიშვილის არსებობა (ცხადია, იმის დაკონკრეტების გარეშე თუ ვისგან შეეძინა იგი მას). კარის მოხელისათვის თავისი პირადი ცხოვრების ასეთი დეტალის განდობა იმას ითვალისწინებდა, რომ თუ რუსეთის მეფის სიძობის გარდა სპარსეთის ხელისუფალთ ისიც ეცოდინებოდათ, რომ მას ამ „რანგში“ მემკვიდრეც ჰყავდა შეძენილი, ეს მის საქმეს წაადგებოდა, რადგან ერთგვარი პოლიტიკური ლავირებისა და მის წინაშე მდგარი პრობლემის ალტერნატიული გადაწყვეტის შესაძლებლობას აძლევდა: თუ კახეთის ტახტს როგორც კანონიერი მემკვიდრე გართულების გარეშე დაიკავებდა, ცხადია, სამშობლოში დარჩებოდა და ფესვებს გაიდგამდა, წინააღმდეგ შემთხვევაში – თუ მასზე რაიმე ძალდატანებას იხმარდნენ, კერძოდ, რჯულის შეცვლას თუ დაავალდებულებდნენ, იგი როგორც რუსეთის მეფის სიძე და მისი შვილიშვილის მამა, უფლებამოსილი იქნებოდა, მოსკოვისკენ უკან მიმავალ გზას დადგომოდა, სადაც ყმაწვილკაცობა გაატარა და შესანიშნავი ურთიერთობები ჰქონდა დამყარებული. როგორც უკვე ცნობილია, აღნიშნული ალტერნატივის მეორე შესაძლებლობის გამოყენებამდე საქმე არ მივიდა: ბატონიშვილი ერეკლე ისპაჰანში დარჩა და მის მიმართ კეთილგანწყობილი შაჰის ზეწოლის შედეგად ისლამი აღიარა, იქვე პირველად იქორწინა და ცოლად შეირთო კახეთის ღირსეული საგვარეულოს წარმომადგენელი ანა ჩოლაყაშვილი, რომელთანაც რამდენიმე ვაჟიშვილი და ქალიშვილი შეეძინა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„საქართველო ყოველთვის იყო მასპინძლობისა და თბილი მიღების სინონიმი“

„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია შემოსავლიანი ხდება“, – ასეთი სათაურით აქვეყნებს სტატიას ამერიკული გამოცემა Forbes.

„საქართველო ტურიზმს სერიოზულად, ძალიან სერიოზულად უდგება. ჰკითხეთ ჯესპერ ბლეკს. როდესაც 2016 წელს ჰოლანდიელი ტურისტი ჩამოფრინდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში და ქვეყნის მეექვსე მემილიონე ვიზიტორი გახდა, მას წითელი ხალიჩით დახვედრა მოუწყვეს და პრემიერ-მინისტრთან სავახშმოდ „მერსედესით“ წაიყვანეს“, – წერს სტატიის ავტორი სტეფან რაბიმოვი. 2011 წელს საქართველოში 2,8 მილიონი ვიზიტორი ჰყავდა, 2016 წელს კი ექვსი მილიონი. ეს ნახტომი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისთვის დიდი გამოწვევაა.



„მოულოდნელად, ქვეყანა თითქოს ყველა მოგზაურის რადარზე გაჩნდა“, – წერს ავტორი და აღნიშნავს, რომ 2015 წელს ნიუიორკ თაიმსმა მსოფლიოში მოსანახულებელ 50 ადგილს შორის საქართველო 25-ე ადგილზე დაასახელა.

„საქართველო ყოველთვის იყო მასპინძლობისა და თბილი მიღების სინონიმი, სადაც ამბობენ, რომ სტუმარი უფლის საჩუქარია“, – წერს ავტორი.

სტეფენ რაბიმოვი საქართველოს ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობების შესახებ წერს და აღნიშნავს, რომ მრავალი ახალგაზრდა ქართველი, რომელმაც განათლება საზღვარგარეთ მიიღო, ბრუნდება სამშობლოში, რომ ბიზნესის მრავალი სფეროსა და ტურიზმს განვითარების ბიძგი მისცეს.

ამასთან, საქართველოს მთავრობამ ტურიზმის ინდუსტრიაში ამბიციური გეგმა დაისახა: მან უახლოესი ორი წლის განმავლობაში 25 ახალი სასტუმრო უნდა ააშენოს, გააუმჯობესოს ინფრასტრუქტურა, შავი ზღვისპირეთში საოჯახო სასტუმროების განვითარებისთვის ადგილობრივებთან იმუშაოს და აამაღლოს ტურისტული სტანდარტები.

ამასთან, **მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემუშავებულ მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის 2017 წლის ინდექსში საქართველო 70-ე ადგილზეა 3.70 ქულით. ინდექსი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ქვეყნდება, საქართველომ 1 პოზიციით წინ წაიწია – 2015 წელს საქართველო 71-ე ადგილზე იყო 3.68 ქულით,– ამ ინფორმაციას Forbes-ის ქართული გამოცემა ავრცელებს.**

მაქსიმალური ქულა – 7 არც ერთ ქვეყანას არა აქვს. სიაში ყველაზე მაღალი ესპანეთს – 5.43 ქულა აქვს. მეორე ადგილზე საფრანგეთია, ხოლო მესამეზე გერმანია. კვლევა 136 ქვეყანას მოიცავს და ბოლო ადგილს იემენი იკავებს. ინდექსში საქართველოს მეზობლები იამაიკა და აზერბაიჯანია.

წელს ზამთრის კურორტებზე ტურისტების დიდ ნაკადს ელოდებიან. მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელის – ალექსანდრე ონოფრიშვილის თქმით, წინასწარი ჯავშნები მოწმობს, რომ წლევანდელი წელი რეკორდული იქნება.

2017 წლის სექტემბრის მონაცემებით, საქართველოს 763 729 საერთაშორისო ვიზიტორი ეწვია, რაც 20.9%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით

◎ დედაქალაქი

ნატვრის ხე ევროპის მოედანზე

თბილისობის ოქტომბრის ტრადიციული ორდღიანი დღეობა მართალია დღეს, 7 ოქტომბერს დაიწყო, მაგრამ მისი აღნიშვნას დედაქალაქის რამდენიმე ძველ უბანში ადრევე შეუდგნენ.

კერძოდ, რიყის პარკსა და ევროპის მოედანზე, თბილისის და დედაქალაქის სტუმართა მოზღვავება გუშინ დილიდანვე, რამდენიმედღიანი ავდრის შემდეგ მზეგამონათებულზე დაიწყო. უცხოელთა განსაკუთრებულ ყურადღებას, პირველ ყოვლისა, ადგილობრივ მრეწველთა შეკერილი სხვადასხვა კუთხის ქართული ეროვნული ქალისა და მამაკაცის სამოსელი, ჩვენებური სუვენირები იწვევდა.

თბილისობის ერთ-ერთი უაღრესად გამორჩეული ნიშან-თვისება მისი ინტერნაციონალური ხასიათია: რიყის პარკში საქართველოში აკრედიტებული უცხოეთის ქვეყნების საელჩოები ამ დღეებში მოზეიმეთ თავიანთი ეროვნული სამზარეულოს კერძებს, სახასიათო სუვენირებს სთავაზობენ, ყოველივეს კი დიდი გემოვნებით გაფორმებული ბუკლეტებით აცნობდნენ.

თბილისელებიც და დედაქალაქის სტუმრებიც კი ევროპის მოედანზე გამართულ სიმბოლურ ნატვრის ხესთან სამახსოვრო სურათებს ბედნიერი ხვალინდელი დღის იმედით აღსავსენი ერთიანი ხალისით იღებენ.

ლალი ხუნდაძე,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ ჭადრაკი

მეინდან – ვაჟთა დიდოსტატის წოდებით

